

---

## წინასწარი არარედაქტირებული ვერსია

9 ივნისი, 2016 წელი

ორიგინალი: ინგლისური

---

ადამიანის უფლებათა საბჭო

32-ე სხდომა

დღის წესრიგი, მესამე საკითხი

ადამიანის ყველა უფლების, სამოქალაქო,  
პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური  
და კულტურული უფლებების, მათ შორის,  
განვითარების უფლების ხელშეწყობა და დაცვა

ქალთა მიმართ ძალადობის, ძალადობის მიზეზებისა და შედეგების შესახებ  
სპეციალური მომხსენებლის ანგარიში  
საქართველოში ვიზიტის შესახებ

სამდივნოს შენიშვნა

წინამდებარე ანგარიში მოიცავს ქალთა მიმართ ძალადობის, ძალადობის მიზეზებისა და შედეგების შესახებ სპეციალური მომხსენებლის მიერ საქართველოში ვიზიტის დროს (2016 წლის 15-19 თებერვალი) გაკეთებულ დასკვნებსა და რეკომენდაციებს. მანდატის მფლობელი იკვლევს ხარვეზებსა და გამოწვევებს სახელმწიფოს მიერ ვალდებულების შესრულებისას, რომელიც გულისხმობს ქალთა მიმართ ძალადობის, მისი გამომწვევი მიზეზებისა და შედეგების აღმოფხვრას და გასცემს რეკომენდაციებს ქალთა მიმართ ძალადობის თავიდან აცილებისა და მასთან ბრძოლისათვის საჭირო ზომების შესახებ, ასევე ქალთა მიერ ადამიანის უფლებებით სარგებლობის უზრუნველყოფის შესახებ.

\* ანგარიშის წარდგენა მოხდა წინასწარ დადგენილი ვადის გასვლის შემდგომ, რათა მასში ასახულიყო უახლესი მოვლენები.

შენიშვნა: არაოფიციალური თარგმანი

ქალთა მიმართ ძალადობის, ძალადობის მიზეზებისა და შედეგების შესახებ  
სპეციალური მომხსენებლის ანგარიში  
საქართველოში ვიზიტის შესახებ  
(2016 წლის 15-19 თებერვალი)

## სარჩევი

I. შესავალი.....	4
II. ზოგადი სიტუაცია .....	5
III. ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევების გამოვლინება, მისი გამომწვევი მიზეზები და შედეგები.....	5
IV. სახელმწიფოს პასუხი და ზომები ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ.....	15
ა) საერთაშორისო და რეგიონალური ჩარჩოების შერწყმა ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე.....	15
ბ) საკონსტიტუციო, საკანონმდებლო და პოლიტიკის ჩარჩოები.....	18
გ) ინსტიტუციური ჩარჩო: ეროვნული და დამოუკიდებელი ინსტიტუტები.....	22
V. ქალთა მიმართ დისკრიმინაციის გავლენა ქალთა მიმართ ძალადობაზე.....	24
ა) ქალთა დაბალი მონაწილეობა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში .....	24
ბ) დისკრიმინაციული მიდგომები და გენდერული სტერეოტიპები.....	25
VI. სახელმწიფოს მიერ ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის ვალდებულების შესრულებისას არსებული ხარვეზები და გამოწვევები.....	26
ა) პრევენცია.....	26
ბ) დაცვა .....	27
გ) საქმის აღძვრა.....	30
VII. დასკვნები და რეკომენდაციები.....	31

## I. შესავალი

1. საქართველოს მთავრობის მოწვევით, ქალთა მიმართ ძალადობის, ძალადობის მიზეზებისა და შედეგების შესახებ სპეციალური მომხსენებელი ქალბატონი დუბრაჟკა სომონოვიჩი საქართველოს 2016 წლის 15-19 თებერვალს ეწვია.
2. სპეციალური მომხსენებელი გამოთქვამს გულწრფელ მადლიერებას საქართველოს მთავრობის მიმართ სრულფასოვანი თანამშრომლობისთვის. ვიზიტის დროს იგი შეხვდა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილეს, საგარეო საქმეთა მინისტრს, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეს, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილეს, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილეს, სასჯელაღსრულების მინისტრის მოადგილეს, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის სახელმწიფო მინისტრის პირველ მოადგილეს, იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის პირველ მოადგილეს, იუსტიციის მინისტრს; ასევე, აღნიშნული სამინისტროების წარმომადგენლებს, საქართველოს პრემიერ-მინისტრის თანამემწეს ადამიანის უფლებებისა და გენდერული თანასწორობის საკითხებში, პარლამენტის თავმჯდომარის პირველ მოადგილეს, პარლამენტთან არსებული გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარეს და პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოს უფროსს.
3. დუბრაჟკა სომონოვიჩი ასევე შეხვდა საქართველოს სახალხო დამცველს და კონსულტაციები გამართა სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელ ორგანიზაციებთან, ისევე როგორც პრეზიდენტთან, უზენაესი სასამართლოს წევრებთან, თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეებთან და გაეროს სააგენტოების წარმომადგენლებთან.
4. მომხსენებელი ეწვია კახეთის რეგიონს, სადაც შეხვდა გუბერნატორს, კაბალის თემის მოსახლეობას, სამოქალაქო საზოგადოებისა და უხუცეს ქალთა საბჭოს წარმომადგენლებს სოფელ დუისში (ახმეტის მუნიციპალიტეტი, პანკისის ხეობა); შიდა ქართლში, სოფელ სკრას დევნილთა დასახლებაში იძულებით გადაადგილებულ ქალებს შეხვდა; ეწვია გორის თავშესაფარს. სპეციალური მომხსენებელი დიდ მადლობას უხდის იმ ქალებს, რომლებიც ოჯახში ძალადობის მსხვერპლები იყვნენ და რომლებმაც მას თავიანთი გამოცდილება გაუზიარეს.
5. მანდატის მფლობელი მადლობას უხდის ადამიანის უფლებათა საკითხებში გაეროს უმაღლესი კომისრის ოფისს, გაეროს ქალთა ორგანიზაციას, გაეროს ლტოლვილთა უმაღლეს კომისარიატს, ასევე გაეროს სხვა სააგენტოებს და ყველას, ვინც ჩართული იყო მისი ვიზიტის ორგანიზებაში.

6. ოფიციალური ვიზიტის დასასრულს მომხსენებელმა წინასწარი დასკვნები გაუზიარა საქართველოს მთავრობას და გამოთქვა იმედი, რომ მთავრობის წარმომადგენლები და სხვა დაინტერესებული მხარეები ითანამშრომლებენ ნაყოფიერად, რათა მოხდეს ანგარიშში ასახული რეკომენდაციების ზედმიწევნით შესრულება.

## II. ზოგადი სიტუაცია

7. 1991 წლის 9 აპრილს საქართველომ გამოაცხადა დამოუკიდებლობა საბჭოთა კავშირისგან, რასაც მოყვა წინააღმდეგობა გარკვეული ჯგუფებისგან, რომლებიც ქვეყნის გარკვეული ნაწილების დამოუკიდებლობას ითხოვდნენ. შედეგად, ქვეყანაში წარმოიქმნა კონფლიქტები. 1990-1992 წლების კონფლიქტებმა დაახლოებით 360,000 ადამიანის იძულებით გადაადგილება გამოიწვია; 2004 წლის ნოემბერში, 241,032 დევნილი დარეგისტრირდა.<sup>1</sup> 2008 წლის აგვისტოში, კიდევ ერთი კონფლიქტი წამოიჭრა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში, რამაც დევნილთა ახალი ტალღა წარმოქმნა.<sup>2</sup>

8. 2014 წლის 27 ივნისს საქართველომ ხელი მოაწერა ასოცირების შესახებ შეთანხმებას ევროკავშირთან, რომლის მიზანია პოლიტიკური და ეკონომიკური ინტეგრაციის მიღწევა, აღნიშნული დღის წესრიგის განვითარება და რეფორმირება და ევროკავშირთან თანამშრომლობის გაძლიერება.<sup>3</sup>

## III. ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევების გამოვლენა, მისი გამომწვევი მიზეზები და შედეგები

9. ვიზიტის განხორციელებისას მომხსენებლისათვის ცხადი გახდა, რომ ქალთა მიმართ ძალადობა საქართველოში ფართოდ არის გავრცელებული და გვხვდება როგორც კერძო, ასევე საჯარო სფეროებში, ქალაქებში და სოფლებში. მანდატის მფლობელმა ასევე აღმოაჩინა, რომ არსებული პატრიარქალური დამოკიდებულებები და გენდერული სტერეოტიპები გენდერული ძალადობის მიმართ ტოლერანტულ გარემოს ქმნის. ქვემოთ იგი რამდენიმე შემთხვევას ანალიზებს. ეს სია არ არის ამომწურავი, თუმცა ასახავს ძალადობის ყველაზე გავრცელებულ გამოვლინებებს საქართველოში.

### *ქალთა მიმართ ძალადობა, მათ შორის ოჯახში ძალადობა*

10. მიუხედავად მთავრობის ძალისხმევისა, რომელიც მოიცავს 2006 წელს ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ კანონის მიღებას (კანონი „ოჯახში ძალადობის შესახებ“) და ოჯახში ძალადობის

<sup>1</sup> იქვე.

<sup>2</sup> A/HRC/10/13/ მე-2 დამატება.

<sup>3</sup> [http://eeas.europa.eu/top\\_stories/2014/270614\\_association\\_agreement\\_en.htm](http://eeas.europa.eu/top_stories/2014/270614_association_agreement_en.htm)

კრიმინალიზაციას (2012 წელი), მანდატის მფლობელი აღნიშნავს, რომ ოჯახში ძალადობა, მათ შორის ფიზიკური, სექსუალური და ფსიქოლოგიური ძალადობა, კვლავ განიხილება როგორც პირადული საკითხი და არ წარმოადგენს საზოგადოების შემფოთების საგანს ქვეყნის უმეტეს ნაწილში. ოჯახში ძალადობის შემთხვევათა აღრიცხვა კვლავ დაბალია, რაც, სხვადასხვა მიზეზებთან ერთად, გამოწვეულია საზოგადოების დაბალი ინფორმირებულობით ამ პრობლემის შესახებ, შურისძიებისა და სტიგმატიზაციის შიშით, სამართალდამცავი ორგანოების მიმართ ნდობის ნაკლებობით და ასევე ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ არსებული მექანიზმებისა და სერვისების გაუმართაობით.<sup>4</sup>

**11.** 2009 წელს ჩატარებულმა ეროვნულმა კვლევამ აჩვენა, რომ გამოკითხულ ქალთა შორის, 11-დან 1 ქალი იყო ფიზიკური და სექსუალური ძალადობის მსხვერპლი მისი მეუღლის ან პარტნიორის მხრიდან, ხოლო 34.7%-მა ფიზიკური ან სექსუალური ძალადობის შედეგად დაზიანებები მიიღო.<sup>5</sup> მოძალადეებს შორის იყვნენ ასევე ყოფილი პარტნიორები და ოჯახის წევრები. ძალადობის ძირითად ფორმებს წარმოადგენს ფიზიკური, სექსუალური, ფსიქოლოგიური და ეკონომიკური ძალადობა, ასევე იძულება.

**12.** 2015 წლის პირველ ნახევარში,<sup>6</sup> საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა დაარეგისტრირა ოჯახში ძალადობის 1 478 შემთხვევა; 93% შემთხვევაში მოძალადე იყო კაცი, ხოლო მსხვერპლთა 87% იყო ქალი<sup>7</sup>. სპეციალური მომხსენებელი წუხილს გამოთქვამს, რომ ოჯახში ძალადობის მონაცემები ეფუძნება გაცემული შემთხვევები ორდერების რაოდენობას, რაც ვერ ასახავს პრობლემის რეალურ მასშტაბს. შემამფოთებელია, რომ ზოგიერთი შემთხვევა პოლიციის მიერ რეგისტრირებულია როგორც „ოჯახური კონფლიქტი“, რაც ოჯახში ძალადობის რეალურ რიცხვს სავარაუდოდ კიდევ უფრო არაზუსტს ხდის.

**13.** საქართველოს სახალხო დამცველის „ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ სპეციალური ანგარიშის“ მიხედვით, 2014 და 2015 წლებში ოჯახში ძალადობის ყველაზე გავრცელებული ფორმები იყო ფსიქოლოგიური და ფიზიკური ძალადობა. 2009 წლის ეროვნული კვლევის დროს გამოკითხულ ქალთა პასუხების მიხედვით, ფსიქოლოგიური ძალადობის ყველაზე გავრცელებული კომპონენტები იყო შეურაცხყოფა (14.3%), დამცირება (5.3%) დაშინება (5.1%) და მუქარა (3.8%).<sup>8</sup> ქალების 35.9%-ის განცხადებით, მათზე ძალადობა ხორციელდებოდა მათი ქცევის კონტროლის მიზნით. ეს მაჩვენებელი გაცილებით მაღალია არასრული სამუალო

<sup>4</sup> ინფორმაცია მოგვაწოდა გაეროს ქალთა ორგანიზაციამ.

<sup>5</sup> ეროვნული კვლევა საქართველოში ოჯახში ძალადობის შესახებ, 2009, გვ. 33 და 44.

<sup>6</sup> 2015 წელს 2,726 შემთხვევა იქნა რეგისტრირებული ორდერი გაცემა.

<sup>7</sup> ინფორმაცია მოგვაწოდა საქართველოს სახალხო დამცველის ოფისმა.

<sup>8</sup> იხილეთ სქოლიო 6, გვ.36.

განათლების მქონე ქალებში (60%), ვიდრე საშუალო, ტექნიკური ან უმაღლესი განათლების მქონე ქალებში (35%), ხოლო იმ ქალებს შორის, რომლებსაც არ გააჩნიათ შემოსავალი, ეს მაჩვენებელი არის 76.6%.<sup>9</sup>

**14.** მომხსენებელი აღნიშნავს, რომ იმ ფაქტორებს შორის, რომლებიც სავარაუდოდ პარტნიორთა მხრიდან ძალადობის რისკს ზრდის, არის დისკრიმინაციული გენდერული სტერეოტიპები და პატრიარქალური დამოკიდებულებები, ქალთა დაბალი ინფორმირება მათი უფლებების შესახებ, ადრეული და იძულებითი ქორწინება<sup>10</sup> და არასაკმარისი ეკონომიკური დამოუკიდებლობა. გარდა ამისა, ოჯახში ძალადობის გამომწვევ ფაქტორებს შორის არის ალკოჰოლის მოხმარება, ფინანსური პრობლემები და უმუშევრობა.<sup>11</sup>

**15.** ქალების უმრავლესობა ოჯახში ძალადობას აღიქვამს როგორც პირადულ საკითხს. 2009 წელს ჩატარებული ეროვნული კვლევისას გამოკითხული ქალების 78.3%-ს, რომელთა უმრავლესობა სოფლად მცხოვრები იყო, ფიქრობდა, რომ ოჯახური პრობლემები უნდა განიხილებოდეს მხოლოდ ოჯახში. 52.1%-ის აზრით კი, თუ ქალს შეურაცხყოფას აყენებს მისი პარტნიორი, ამაში არ უნდა ჩაერიოს საზოგადოება.<sup>12</sup> რაც შეეხება ძალადობრივი ფაქტების გამჟღავნებას, ქალების 27.8%-ს ამის შესახებ არავისთვის უცნობებია; იმ ქალთა 47.5%, რომლებმაც გადაწყვიტეს ამ თემაზე საუბარი, პრობლემის შესახებ აცნობეს მშობლებს, 31.2%-მა - მეგობრებს, 22.4%-მა დებს/ძმებს და 14,8%-მა - მეუღლის ოჯახს.<sup>13</sup> მხოლოდ მცირე ნაწილმა აცნობა პრობლემის შესახებ სოციალურ სამსახურს ან ოფიციალურ ორგანოებს.<sup>14</sup>

**16.** 2010 წელს ჩატარებული რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევის თანახმად, სიტყვიერი ან/და ფიზიკური ძალადობის შემთხვევების რიცხვი უფრო მაღალი იყო დაბალი ფორმალური განათლების და დაბალი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ქალებს შორის, ასევე აზერბაიჯანელ ან სხვა ეთნიკური წარმომავლობის ქალებს შორის.<sup>15</sup> ოჯახში ძალადობა უფრო გავრცელებულად ითვლება უმცირესობათა ჯგუფებში, მათ შორის აზერბაიჯანელებსა და სომხებს შორის, განსაკუთრებით სოფლებში.<sup>16</sup>

<sup>9</sup> იქვე.

<sup>10</sup> დედამთილების მიერ ჩადენილი ძალადობის შემთხვევები.

<sup>11</sup> იხილეთ სქოლიო 6, გვ.36 და 51.

<sup>12</sup> იქვე-გვ.37.

<sup>13</sup> იქვე. გვ.36 და 51

<sup>14</sup> იქვე.

<sup>15</sup> რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევა, საბოლოო ანგარიში, დაავადების კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრი, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, საქართველოს ეროვნული სტატისტიკის სამსახური, 2010, გვ.312.

<sup>16</sup> ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ქალები – ორმაგი ტვირთი, უმცირესობების საკითხების ევროპული ცენტრი, 2014.

### *სექსუალური ძალადობა, მათ შორის გაუპატიურება*

17. 2014 წელს სექსუალური ძალადობის 80, ხოლო 2015 წელს - 87 შემთხვევა დაფიქსირდა, მათ შორის გაუპატიურების 20 შემთხვევა 2014 წელს და 13 შემთხვევა - 2015 წელს.<sup>17</sup> სამწუხაროდ, ქვეყანაში არანაირი კვლევა არ ჩატარებულა სექსუალური ძალადობის შესახებ.<sup>18</sup> უნდა აღინიშნოს, რომ სექსუალური დანაშაულის შესახებ შეტყობინებების დონე დაბალია, რაც, სხვა მიზეზებთან ერთად, გამოწვეულია სოციალური სტიგმით, მათ შორის ოჯახის ღირსებისა და ქალწულობისათვის მინიჭებული მაღალი მნიშვნელობით, დამნაშავის მიმართ არსებული შიშით, სამართალდამცავი ორგანოების მიმართ უნდობლობით და სპეციალიზებული მომსახურების ნაკლებობით. პროკურატურის განცხადებით, 2014 წელს 32 პირი გასამართლდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლით (გაუპატიურება), ხოლო 2015 წელს - 21 ადამიანი, მათ შორის, ერთ-ერთი გასამართლდა მეუღლის გაუპატიურების ბრალდებით.

18. მანდატის მფლობელისთვის ცნობილი გახდა, რომ სექსუალური შევიწროების შემთხვევები ხშირია სამუშაო ადგილზე, მაგრამ მის შესახებ განცხადებების რიცხვი არის დაბალი, რაც ახდენს პრობლემის სტიგმატიზაციას.<sup>19</sup> ჯერ კიდევ 2006 წელს, ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტმა სახელმწიფოს მისცა რეკომენდაცია, რომ საქართველოს შრომის კოდექსის დებულება სამუშაო ადგილზე შევიწროების შესახებ (მუხლი 2 (4)), რომელიც არც სექსუალურ შევიწროებაზე და არც მის ფორმებზე მკაფიოდ არ მიუთითებდა, მოეყვანა შესაბამისობაში მე-19 ზოგად რეკომენდაციასთან.<sup>20</sup> სამწუხაროდ, არ არსებობს მონაცემები სექსუალური და სხვა ტიპის შევიწროების ფორმების შესახებ, როგორცაა დანაშაული საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას, რაც არ განიხილება როგორც ძალადობა.

### *ფემიციდი ან გენდერული ნიშნით ჩადენილი ქალთა მკვლელობები*

19. 2014 წელს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტმა შემფოთება გამოთქვა პარტნიორების მიერ ქალთა მკვლელობის მზარდი რიცხვის გამო და რეკომენდაციები გასცა პრევენციული ზომების მისაღებად.<sup>21</sup> რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის მიზნით, 2015 წელს, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა გამოაქვეყნა სპეციალური ანგარიში საქართველოში

<sup>17</sup> იხილეთ სქოლიო 5.

<sup>18</sup> იქვე.

<sup>19</sup> წლიური ანგარიში, საქართველოს სახალხო დამცველი, 2014 წელი.

<sup>20</sup> ინფორმაცია მოგვაწოდა ორგანიზაციამ „კონსტიტუციის 42-ე მუხლი“; ასევე, ქალთა მიმართ ძალადობის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენცია, დასკვნითი შენიშვნები, 3.

<sup>21</sup> ქალთა მიმართ ძალადობის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენცია, დასკვნითი შენიშვნები, 4-5.



ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის შესახებ,<sup>22</sup> რომელშიც მოცემული იყო 2014 წელს გენდერული ნიშნით ჩადენილი ქალთა მკვლელობის 34 შემთხვევა. როგორც მომხსენებლისთვის გახდა ცნობილი, 2015 წელს ფემიციდის/გენდერული ნიშნით ჩადენილი ქალთა მკვლელობების რაოდენობა შემცირდა.<sup>23</sup>

20. სპეციალურმა მომხსენებელმა შენიშნა, რომ უმეტეს შემთხვევაში, როცა მკვლელობა ჩადენილი იყო (ყოფილი) პარტნიორის მიერ, მსხვერპლებს პოლიციაში ჰქონდათ ძალადობის ფაქტების შესახებ განცხადება შეტანილი, თუმცა მათ ვერ მიიღეს ადეკვატური და ეფექტური დახმარება სახელმწიფოს მხრიდან.

21. სპეციალური მომხსენებელი დადებითად აფასებს ფემიციდის შემთხვევების მონიტორინგს, რომელიც ჩაატარა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა და კიდევ ერთხელ მოუწოდებს ყველა სახელმწიფოს, შეიქმნას „ფემიციდის ზედამხედველობის მექანიზმი“ ან „გენდერული ნიშნით ჩადენილი ქალთა მკვლელობების ზედამხედველობის მექანიზმი“ და ყოველი წლის 25 ნოემბერს, ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის საერთაშორისო დღეს, სახელმწიფომ გამოაქვეყნოს მონაცემები ფემიციდის შესახებ. ასევე, მოხდეს თითოეული შემთხვევის გულდასმით გაანალიზება პრევენციული ღონისძიების გაუმჯობესებისა და დახვეწის მიზნით.

#### *თვითმკვლელობები სისტემატური ძალადობის მსხვერპლ ქალებს შორის*

22. სპეციალური მომხსენებლისათვის, ცნობილი გახდა, რომ სისტემატური ძალადობის მსხვერპლ ქალებს შორის თვითმკვლელობების რაოდენობა დაუდგენელია, ხოლო ახალგაზრდა ქალების თვითმკვლელობების გამომწვევი მიზეზები<sup>24</sup> სავარაუდოდ გოგონების ადრეული და იძულებითი ქორწინებაა.<sup>25</sup>

#### *ბავშვთა და იძულებითი ქორწინება*

23. შემაშფოთებელია ბავშვთა და იძულებითი ქორწინების მაღალი დონით მთელი ქვეყნის მასშტაბით; 2015 წელს, 18 წელს მიუღწეველ პირთა 611 ქორწინება დარეგისტრირდა, სადაც 578 არასრულწლოვანი გოგონა იყო.<sup>26</sup>

24. 2015 წელს 14-დან 16 წლამდე ასაკის 224 მოსწავლემ და 17-დან 18 წლამდე ასაკის 351 მოსწავლემ მიატოვა სწავლა ადრეული ქორწინების გამო. მომხსენებელი შემფოთებას გამოთქვამს იმ გოგონების დიდი რაოდენობის გამო, რომლებმაც სკოლაში

<sup>22</sup> <http://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3389.pdf>

<sup>23</sup> საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ მოწოდებული მონაცემები.

<sup>24</sup> 2014 წელს, 36-მა ქალმა დაასრულა სიცოცხლე თვითმკვლელობით [http://www.geostat.ge/cms/site\\_images/\\_files/english/health/Women%20and%20Men\\_2015.pdf](http://www.geostat.ge/cms/site_images/_files/english/health/Women%20and%20Men_2015.pdf)

<sup>25</sup> ინფორმაცია მოგვაწოდა კავშირმა „საფარი“. ასევე იხილეთ: ოჯახში ძალადობა და ქალთა მიმართ ძალადობა საქართველოში, სპეციალური ანგარიში, საქართველოს სახალხო დამცველი, საპარლამენტო ანგარიში, 2014.

<sup>26</sup> საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მონაცემები.

სიარული შეწყვიტეს ქორწინების შემდეგ და ხაზს უსვამს, რომ ისინი უფრო დაუცველნი არიან ძალადობისგან, მათ შორის მეუღლის მიერ გაუპატიურებისგან, რადგან განათლების შეზღუდვის გამო, მათ დასაქმებისა და ეკონომიკური დამოუკიდებლობის მოპოვების ნაკლები პერსპექტივა გააჩნიათ, რის გამოც იძულებული ხდებიან აიტანონ დამცირება. ეს პრაქტიკა ასევე უკავშირდება ნაადრევ ორსულობას<sup>27</sup> და შეიძლება იწვევდეს დედათა სიკვდილიანობის ზრდას. 2015 წელს 100 000-დან 36 მშობიარობა ბავშვის სიკვდილით დასრულდა.<sup>28</sup> საქართველოს სახალხო დამცველის განცხადებით, 16 წლის ასაკამდე გოგონას თვითმკვლელობის მიზეზი სავარაუდოდ დაკავშირებული იყო იძულებით ქორწინებასთან.

**25.** იძულებითი ქორწინების ძირითადი მიზეზები, როგორც სპეციალურ მომხსენებელს ვიზიტის დროს განუმარტეს, არის საზოგადოების ინფორმირებულობის დაბალი დონე, მათ შორის ადრეული ქორწინების კანონსაწინააღმდეგო ხასიათის შესახებ, გოგონების და მათი მშობლების განათლების დაბალი დონე, სიღარიბე და ზოგიერთ შემთხვევაში, გოგონების მოტაცების შიში<sup>29</sup> - რაც უფრო გავრცელებული იყო 90-იან წლებში, განსაკუთრებით სოფლად და/ან ეთნიკურ უმცირესობათა შორის, მათ შორის აზერბაიჯანელ მოსახლეობაში, სადაც გოგონების უმრავლესობა 18 წლის ასაკამდე, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში 16 წლამდე ქორწინდება. სხვა გამოწვევებს შორის სახელდება ხარვეზები მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების სერვისებში და რეაგირების არაეფექტური მექანიზმები.<sup>30</sup>

**26.** იძულებითი და ადრეული ქორწინება უმრავლესად გოგონების ნების საწინააღმდეგოდ და მათი მშობლების ზეწოლის შედეგად ხდება. ადრეული ქორწინების ხელშემწყობ მიზეზებს შორის ასევე არის ქალთა სქესობრივი ცხოვრების კონტროლი საზოგადოების მხრიდან, სოციალური სტიგმა, მათ შორის ქალწულობის დაკარგვა ქორწინებამდე, და სხვა სოციალური და რელიგიური ფაქტორები. ეს მავნე პრაქტიკა ძირითად გვხვდება კახეთის, ქვემო ქართლის, აჭარისა და გურიის რეგიონებში.<sup>31</sup>

**27.** მომხსენებლისათვის ცნობილი გახდა, რომ 2014 წლის 17 ოქტომბერს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 150<sup>1</sup> მუხლით (იძულებითი ქორწინება, მათ შორის არარეგისტრირებული ქორწინება) მოხდა ქორწინების იძულების კრიმინალიზაცია, ხოლო 2015 წლის 26 ნოემბერს<sup>32</sup> გაუქმდა რეგულაცია, რომლის

<sup>27</sup> 2014 წელს, 1,500 გოგონა გახდა დედა: <https://iwpr.net/global-voices/georgia-tightens-early-marriage>

<sup>28</sup> <http://data.worldbank.org/indicator/SH.STA.MMRT>

<sup>29</sup> აღნიშნული შემცირდა მას შემდეგ, რაც მოხდა მისი კრიმინალიზაცია 2004 წელს, სსკ 143 მუხლის მიხედვით, რაც ითვალისწინებს თავისუფლების შეზღუდვას.

<sup>30</sup> საქართველოს სახალხო დამცველი, სპეციალური ანგარიში, ადრეული ქორწინება: გამოწვევები და პრობლემის გადაჭრის გზები.

<sup>31</sup> <https://iwpr.net/global-voices/georgia-tightens-early-marriage>

<sup>32</sup> იქვე.

მიხედვითაც 16-დან 18 წლამდე პირებს შეეძლოთ ქორწინება მშობლების თანხმობის შემთხვევაში. რეგულაცია შეიცვალა კანონით, რომლის თანახმადაც, მხოლოდ სასამართლო გასცემს ამგვარი ქორწინების უფლებას.

**28.** 2015 წელს 179 საქმეზე დაიწყო გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 140-ე მუხლის საფუძველზე (სქესობრივი ან სხვა სექსუალური ხასიათის აქტი 16 წელს მიუღწეველ პირთან). 33 საქმეზე გამოძიება შეწყდა, ხოლო 115 საქმეზე აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. ვიზიტის დროს, გამოძიება მიმდინარეობდა 29 საქმეზე; 1 საქმეზე მოხდა კვალიფიკაციის შეცვლა.<sup>33</sup> 20 შემთხვევაში გამოძიება დაიწყო 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით (არასრულწლოვნისთვის თავისუფლების უკანონო აღკვეთა); აქედან არასრულწლოვნისთვის თავისუფლების უკანონო აღკვეთა მოხდა ხუთ შემთხვევაში, ხოლო 17 საქმეზე გამოძიება შეწყდა; საქმე აღიძრა ორ საქმეზე, ხოლო ერთ საქმეში მოხდა კვალიფიკაციის შეცვლა. 150<sup>1</sup> მუხლით გამოძიება დაიწყო 6 საქმეზე, 5 საქმე შეწყდა, ხოლო 1 საქმეზე მიმდინარეობდა გამოძიება.<sup>34</sup> წარმოდგენილი მონაცემები მიუთითებს კანონის არასათანადო აღსრულებაზე და ასევე ცნობიერების ამაღლების და საგანმანათლებლო კამპანიების საჭიროებაზე ამგვარი მავნე პრაქტიკის აღმოფხვრისა და პრევენციის შესახებ.

**29.** მანდატის მფლობელი ხაზს უსვამს ამ მავნე პრაქტიკასთან ბრძოლაში რელიგიური ლიდერების ჩართვის მნიშვნელობას. იგი მიესალმება საჯარო განცხადებას, რომელიც გაკეთდა მისი ვიზიტის შემდეგ, რომლის მიხედვითაც, იმამები აღარ მოახდენენ ადრეული ქორწინების რელიგიურ გაფორმებას პანკისის ხეობაში<sup>35</sup> და იმედოვნებს, რომ ეს გადაწყვეტილება რეალურად განხორციელდება.

### *სქესის პრენატალური შერჩევა*

**30.** მანდატის მფლობელი შემფოთებას გამოთქვამს პრენატალური სქესის შერჩევითი აბორტების გამო. რამდენიმე კვლევამ აჩვენა, რომ აბორტის გაკეთების მიზეზი ხშირ შემთხვევაში არის ბავშვის მდედრობითი სქესი. არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით, რომელშიც 1600 ქალი გამოიკითხა, სელექციური აბორტების რიცხვი მაღალია, განსაკუთრებით ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში.<sup>36</sup> მანდატის მფლობელი წუხილს გამოთქვამს, რომ ამ პრაქტიკის შესახებ ერთიანი მონაცემები არ არსებობს. 2015 წელს

<sup>33</sup> იხილეთ სქოლიო 8.

<sup>34</sup> იქვე.

<sup>35</sup> <http://georgia.unwomen.org/en/news/stories/2016/04/marriage-under-18-banned-in-the-pankisi-gorge>

<sup>36</sup> [http://tbinternet.ohchr.org/Treaties/CEDAW/Shared%20Documents/GEO/INT\\_CEDAW\\_NGO\\_GEO\\_17610\\_E.pdf](http://tbinternet.ohchr.org/Treaties/CEDAW/Shared%20Documents/GEO/INT_CEDAW_NGO_GEO_17610_E.pdf)

გაეროს მოსახლეობის ფონდის მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით,<sup>37</sup> სქესთა თანაფარდობა ახალდაბადებულ ბავშვთა შორის იყო 110 ბიჭი 100 გოგოზე. მიუხედავად იმისა, რომ ეს მაჩვენებელი შემცირდა, ამ მაგნიტის პრაქტიკის აღმოფხვრა ჯერ კიდევ შორეული პერსპექტივაა.

**31.** გენდერული ნიშნით გაკეთებული აბორტების მიზეზებს შორის არის საზოგადოებაში არსებული მოსაზრება ვაჟთა უპირატესობის შესახებ, ზეწოლა წყვილებზე, რომ მათ ჰყავდეთ მამრობითი სქესის შვილი და ასევე ფინანსური საკითხები, მათ შორის მოსაზრება, რომ ბიჭები სავარაუდოდ უფრო მეტად მოახერხებენ მშობლების ფინანსურ მხარდაჭერას.<sup>38</sup>

### *ქალწულობის ტესტები*

**32.** საზოგადოების ზეწოლა არის ერთერთი მიზეზი, რის გამოც ქალები ქალწულობის ტესტს იტარებენ, რათა ქმრებსა და ნათესავებს თავიანთი ქალწულობა დაუმტკიცონ. ლევან სამხარაულის სახელობის სახელმწიფო სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მონაცემებით, 2013 წელს ქალებს შეეძლოთ ქალწულობის ტესტის ჩატარება 175 ლარად (დაახლოებით 78 აშშ დოლარი).<sup>39</sup> სპეციალური მომხსენებელი შემფოთებას გამოთქვამს, რომ საჯარო სამართლის იურიდიული პირი უზრუნველყოფს ამგვარ სერვისს ქალთა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის და სრულად ინფორმირებული თანხმობის უფლებების დარღვევით. მისი თქმით, ასეთი ტესტების ჩატარების მიზეზი ხშირ შემთხვევაში არის სტერეოტიპული შეხედულება ქალთა სქესობრივი ცხოვრების შესახებ.

### *სუროგატი დედობა*

**33.** როგორც სპეციალური მომხსენებლისათვის გახდა ცნობილი, სხვადასხვა უცხოური სააგენტოები ახალგაზრდა ქალებს სთავაზობენ სუროგატი დედობის კონტრაქტებს, ხოლო ჩასახვის პროცედურა არ არის სამართლებრივად დარეგულირებული, რამაც შეიძლება სუროგაციის მსურველი ქალები ძალადობისა და ექსპლუატაციის მსხვერპლად აქციოს.

### *რისკის ქვეშ მყოფი ჯგუფები*

**34.** ვიზიტის განმავლობაში მომხსენებელი აღნიშნავდა, რომ ქალების კონკრეტული ჯგუფები, მათ შორის ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები, სოფლად მცხოვრები, იძულებით გადაადგილებული, ლტოლვილი, ლგბტ თემის

<sup>37</sup> გენდერული ნიშნით სქესის სელექცია საქართველოში, კონტექსტი, მტკიცებულებები და შედეგები, გაეროს მოსახლეობის ფონდი, 2015, გვ.11.

<sup>38</sup> იქვე.

<sup>39</sup> [http://tbinternet.ohchr.org/Treaties/CEDAW/Shared%20Documents/GEO/INT\\_CEDAW\\_NGO\\_GEO\\_17610\\_E.pdf](http://tbinternet.ohchr.org/Treaties/CEDAW/Shared%20Documents/GEO/INT_CEDAW_NGO_GEO_17610_E.pdf)

წარმომადგენელი და ხანდაზმული ქალები, როგორც წესი, განიცდიან სხვადასხვა სახის დისკრიმინაციას, რომელიც მათ უფრო მეტად დაუცველს ხდის ძალადობისგან.

**35.** ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ქალები, მათ შორის სომხები, აზერბაიჯანელები, ოსები, ქისტები, იეზიდები და ბოშები განიცდიან დისკრიმინაციას არა მხოლოდ გენდერული ნიშნით, არამედ იმის გამოც, რომ ისინი უმცირესობების წარმომადგენლები არიან, რაც კიდევ უფრო მეტად ზრდის მათ მოწყვლადობას. ასეთ თემებში გაძლიერებულია ქალის მიმართ გენდერული სტერეოტიპები და გენდერული როლები ოჯახსა და საზოგადოებაში. ადრეული ქორწინება და შესაბამისად, ადრეული მშობიარობა, სწავლის შეწყვეტა საშუალო სკოლის დამთავრებამდე და ოჯახში ძალადობა, როგორც წესი, უფრო გავრცელებულია უმცირესობათა ჯგუფებში, განსაკუთრებით სოფლებში.<sup>40</sup> 2010 წელს საქართველოში ჩატარებული რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევის მიხედვით, აზერბაიჯანულ ოჯახებში ძალადობა თითქმის ორჯერ უფრო მაღალი იყო ვიდრე ეთნიკურ ქართველებში.<sup>41</sup>

**36.** მანდატის მფლობელისთვის, ასევე, ცნობილი გახდა, რომ სოფლად მცხოვრებ ქალებს ნაკლები ინფორმაცია აქვთ მათი უფლებების, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების სერვისების, ეკონომიკური გაძლიერების და დასაქმების ხელმისაწვდომობის შესახებ, რაც მათ საშუალებას მისცემდა თავი აერიდებინათ ძალადობრივი გარემოსთვის. მომხსენებელი აღიარებს ხელისუფლების ძალისხმევას, თუმცა შეშფოთებულია იმის გამო, რომ არსებობს ენობრივი ბარიერის პრობლემა ზოგიერთ ეთნიკურ ჯგუფებში და ზოგიერთ შემთხვევაში ქალები ვერ აცხადებენ ძალადობის შესახებ თარჯიმნის სერვისის არარსებობის გამო.<sup>42</sup>

**37.** პანკისის ხეობაში, რომელიც ძირითადად დასახლებულია ქისტებითა და ჩეჩნებით, 2011 წელს ახალგაზრდების 60-დან 80%-მდე შეუერთდა სალაფიზმს, რამაც ხელი შეუწყო ქალების მიმართ არსებული დისკრიმინაციული პრაქტიკის გაღრმავებას.<sup>43</sup> მანდატის მფლობელისათვის ასევე ცნობილი გახდა, რომ პანკისის ხეობაში ოჯახური საკითხები გვარდება ტრადიციული ჩეჩნური/ქისტური წესების საფუძველზე, რომლებიც თავის მხრივ ეფუძნება შარიათის კანონს და კავკასიურ წეს-ჩვეულებებს და არ შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას და ქალთა მიმართ ძალადობის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენციას.<sup>44</sup> მანდატის მფლობელი აღიარებს უხუცეს ქალთა საბჭოს როლს სოფელ დუისში და ხაზ უსვამს საბჭოსთან მუშაობის

<sup>40</sup> იხილეთ სქოლიო 17, გვ. 3.

<sup>41</sup> იქვე, გვ. 5, და რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევა საქართველოში 2010, რომელიც ჩაატარა დაავადების კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრმა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან თანამშრომლობით.

<sup>42</sup> იხილეთ სქოლიო 8.

<sup>43</sup> იხილეთ სქოლიო 17, გვ.24.

<sup>44</sup> ინფორმაცია მოგვაწოდა გაეროს ლტოლვილთა უმაღლესმა კომისარმა.

გაგრძელების მნიშვნელობას არა მხოლოდ ეროვნული კანონმდებლობის, არამედ საერთაშორისო სტანდარტების განხორციელების მიზნით.

**38.** სოფლებში ბევრ ქალს არ გააჩნია საკუთარი სახლი და ისინი ცხოვრობენ ქმრის ან ქმრის ოჯახის წევრების სახლებში. მიუხედავად საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში განხორციელებული ცვლილებისა, რომლის მიხედვითაც, დამნაშავის გაყვანა უნდა მოხდეს მსხვერპლის საცხოვრებელი ადგილიდან, მანდატის მფლობელი აღნიშნავს, რომ ყოველთვის არ ხდება ამ კანონის აღსრულება და ქალებს მცირე შანსი აქვთ მოძებნონ ახალი საცხოვრებელი ადგილი. ეს დადასტურდა გამოკითხვის შედეგადაც, სადაც ქალებმა განაცხადეს, რომ თავშესაფრის დატოვების შემდეგ უჭირთ ახალი საცხოვრებელი ადგილის პოვნა, რადგან ერთი მხრივ, სამუშაო ადგილების შეზღუდული რაოდენობის, ხოლო მეორე მხრივ, არასათანადო სამუშაო უნარების გამო, მათ მხოლოდ დაბალანაზღაურებად სამუშაოზე ხელი მიუწვდებათ.

**39.** ვიზიტის დროს, ქვეყანაში დევნილთა რაოდენობა იყო დაახლოებით 274 000.<sup>45</sup> მომხსენებელი აღნიშნავს, რომ კონფლიქტმა ტრავმული შედეგები მოუტანა დევნილებს, განსაკუთრებით ქალებს, რადგან მათ დაკარგეს ოჯახის წევრები, სახლები და ასევე მოხდა სხვა ფუნდამენტური უფლებების დარღვევა.<sup>46</sup>

**40.** მიუხედავად იმისა, რომ გავრცელებული ინფორმაციით, იძულებით გადაადგილებულ ქალთა უმრავლესობა, როგორც წესი, სექსუალური და გენდერული ნიშნით ძალადობის მსხვერპლი ხდება, ისინი ხშირად უარყოფენ ამ ფაქტს.<sup>47</sup> ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება იყოს ის ფაქტი, რომ მიუხედავად ხელისუფლების ძალისხმევისა, სექსუალური ძალადობა კვლავ ტაბუდადებულ თემად რჩება და ქალები გაურბიან ამ საკითხზე საუბარს.

**41.** იძულებით გადაადგილებულ ქალთა მიერ ძირითად პრობლემად დასახელდა მათი საცხოვრებელი პირობები. მიუხედავად მთავრობის ძალისხმევისა, რომელიც მიზნად ისახავდა დევნილთა საცხოვრებელი და მიწის ნაკვეთით უზრუნველყოფას, წყალი, სანიტარია, განათლება და ასევე ჯანდაცვის მომსახურება, მათ შორის კონტრაცეპტივების ხელმისაწვდომობა, კვლავ შეზღუდულია. შეშფოთებას იწვევს ასევე სამუშაო ადგილების ნაკლებობა და მცირე ფინანსური დახმარება (45 ლარი, დაახლოებით 20 აშშ დოლარი).<sup>48</sup> მანდატის მფლობელი შეშფოთებულია, რომ დევნილი ქალები, განსაკუთრებით კი ხანდაზმული ქალები, რომლებიც ხანდაზმულ

<sup>45</sup> იმ იძულებით გადაადგილებულ პირთა რაოდენობა, რომლებთანაც მუშაობს გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარი.

<sup>46</sup> ინფორმაცია მოგვაწოდა ასოციაციამ „ამაგდარი“.

<sup>47</sup> იხილეთ სქოლიო 45.

<sup>48</sup> გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის გამოთვლით, 200 ლარი (დაახლოებით 89 დოლარი) არის საარსებო მინიმუმი.

გადაადგილებულ პირთა 60%-ს წარმოადგენენ,<sup>49</sup> იმყოფებიან დაუცველ მდგომარეობაში მათი საცხოვრებელი პირობების გამო. დევნილ ხანდაზმულ ქალთა უმეტესობა ცხოვრობს მძიმე ეკონომიკურ პირობებში და აწუხებთ მედიკამენტების მაღალი ფასები და მცირე პენსია.<sup>50</sup>

42. მანდატის მფლობელისთვის ცნობილი გახდა, რომ ლგბტ თემის წარმომადგენლები არიან აგრესიული მოპყრობის მსხვერპლები და განიცდიან დისკრიმინაციასა და ძალადობას მათი სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის გამო. როგორც მომხსენებელს აცნობეს, 2013 წელს, ლგბტ თემის მიერ ორგანიზებულ აქციაზე<sup>51</sup> მომხდარი ძალადობის ჩამდენი არცერთი პირი არ დასჯილა. გავრცელებული ინფორმაციით, აქციაზე, ათასობით ადამიანის თავდასხმის შედეგად, 17 ადამიანი დაშავდა.<sup>52</sup> 2014 წელს ადამიანის უფლებათა კომიტეტმა გამოხატა შეშფოთება ამ ჯგუფის მიმართ არსებული დისკრიმინაციის და სოციალური სტიგმის, სიძულვილის ენისა და ძალადობის გამო და გასცა რეკომენდაცია ამ კონკრეტული ჯგუფის ეფექტური დაცვისათვის ქმედითი ზომების მისაღებად და სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის საფუძველზე ჩადენილი ძალადობის ფაქტების გამოძიებისა და დამნაშავეთა სისხლისსამართლებრივი დევნის და დასჯის თაობაზე.<sup>53</sup>

#### IV. სახელმწიფოს პასუხი და ზომები ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ

ა) საერთაშორისო და რეგიონული ჩარჩოების შერწყმა ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე

43. საქართველო წარმოადგენს ადამიანის უფლებათა ძირითადი საერთაშორისო ინსტრუმენტების მხარეს. ამ ინსტრუმენტებს შორის არის: საერთაშორისო პაქტი სოციალური და პოლიტიკური უფლებების შესახებ და მისი ფაკულტატური ოქმი, საერთაშორისო პაქტი ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური უფლებების შესახებ, წამების წინააღმდეგ კონვენცია და მისი ფაკულტატური ოქმი, კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, საერთაშორისო კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, ბავშვის უფლებათა კონვენცია და მისი პირველი ორი ფაკულტატური ოქმი, შეზღუდული

<sup>49</sup> იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბერების პროცესი: ხანშიშესულ იძულებით გადაადგილებულ პირთა ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასება საქართველოში, ბლუმბერგის ჯონ ჰოპკინსის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სკოლა, გვ.1.

<sup>50</sup> იქვე, გვ.3.

<sup>51</sup> იხ. <https://www.amnesty.org/en/latest/news/2013/05/georgia-homophobic-violence-mars-tbilisi-pride-event/>

<sup>52</sup> იხ. <https://www.amnesty.org/en/latest/news/2013/05/georgia-homophobic-violence-mars-tbilisi-pride-event/>

<sup>53</sup> ადამიანის უფლებათა კომიტეტი, დასკვნითი შენიშვნები, 4.

შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის კონვენცია. სახელმწიფო არის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის სტატუტის ხელმომწერი, და ლტოლვილთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სტატუსის შესახებ კონვენციათა მხარე.

44. საქართველოს კონსტიტუცია სახელმწიფოს უზენაესი კანონია, რომელიც აღიარებს საერთაშორისო ხელშეკრულებების უზენაესობას შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობასთან მიმართებაში, თუ ხელშეკრულება არ ეწინააღმდეგება კონსტიტუციას. ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტის 2014 წლის დასკვნით კომენტარებში მითითებულია, რომ მიუხედავად ამ მნიშვნელოვანი კონსტიტუციური დებულების არსებობისა, ნაკლებად ხდება ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენციის პირდაპირი გამოყენება. ეს დადასტურდა სპეციალური მომხსენებლის მიერ ამ საკითხზე გამართულ დისკუსიებზე უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარესთან და თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეებთან, რამაც ასევე ხაზი გაუსვა მოსამართლეების, პროკურორების და ადვოკატებისათვის სპეციფიური იურიდიული განათლების მნიშვნელობას და ტრენინგების საჭიროებას ისეთ საკითხებში, როგორცაა კონვენციის პირდაპირი გამოყენება და ეროვნული იურიდიული დებულებების ინტერპრეტირება ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტის იურისპრუდენციის გათვალისწინებით.

45. 2014 წელს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტმა განიხილა საქართველოს გაერთიანებული მეოთხე და მეხუთე პერიოდული ანგარიში და მიიღო დასკვნითი რეკომენდაციები. ქალთა მიმართ ძალადობის მიმართულებით, კომიტეტმა შეშფოთება გამოხატა შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

ა) იმ ქალების მზარდი რიცხვი, რომლებიც მოკლეს ქმრებმა ან პარტნიორებმა, ან რომლებიც ძალადობის სხვა ფორმის, მათ შორის, ფსიქოლოგიური, ფიზიკური, ფინანსური და სექსუალური ძალადობის მსხვერპლნი გახდნენ;

ბ) სექსუალური და ოჯახში ძალადობის შესახებ შეტყობინებების დაბალი მაჩვენებელი სტიგმისა და დამნაშავისადმი შიშის გამო, ისევე როგორც სამართალდამცავი უწყებების მიმართ ნდობის ნაკლებობის გამო;

გ) სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული კრიზისული ცენტრებისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლ ქალთა თავშესაფრების ნაკლებობა;



დ) ქალწულობის ტესტების ჩატარება ქალთა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევით.<sup>54</sup>

ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტმა აგრეთვე მოითხოვა სახელმწიფოსგან, ქალთა მიმართ ძალადობის მიმართულებით გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ორი წლის შემდეგ წარადგინოს ანგარიში და მასში ასახოს განხორციელებული ცვლილებები.

**46.** ადამიანის უფლებათა კომიტეტი შეშფოთებას გამოთქვამს ოჯახში ძალადობის შემთხვევების შესახებ შეტყობინებების დაბალი მაჩვენებლით, რაც გამოწვეულია გენდერული სტერეოტიპებით, სამართალდამცავების მიერ ამგვარი შემთხვევების არასათანადო გამოძიებით და მსხვერპლთა დაცვის არასაკმარისი ღონისძიებებით, მათ შორის, შემაკავებელი ორდერების არასათანადო აღსრულებით,<sup>55</sup> და ასევე სახელმწიფო თავშესაფრების და შესაბამისი სერვისების შეზღუდული რაოდენობით.<sup>56</sup>

**47.** 2015 წელს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტმა ფაკულტატური ოქმის თანახმად მიიღო გადაწყვეტილება საქმეზე X. და Y. საქართველოს წინააღმდეგ (N° 24/2009),<sup>57</sup> სადაც მომჩივანი და მისი შვილი განიცდიდნენ ფიზიკურ და სექსუალურ ძალადობას რამდენიმე წლის განმავლობაში. პოლიციაში არაერთი საჩივრის წარდგენის მიუხედავად, დაზარალებულის მეუღლის მიმართ არ აღძრულა სისხლის სამართლის საქმე. ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტმა დაადგინა, რომ სახელმწიფომ ჯეროვნად ვერ შეასრულა საკუთარი მოვალეობა - გამოეძიებინა ადამიანის უფლებების დარღვევა და დაესაჯა დამნაშავე. კერძოდ, დადგინდა შემდეგი დარღვევები: კონვენციის მეორე მუხლის ბ) გ) დ) ე) და ვ) ნაწილები პირველ და მეხუთე (ა) მუხლთან ერთობლიობაში და მე-19 ზოგადი რეკომენდაცია. კომიტეტმა გასცა რეკომენდაცია დაზარალებულისათვის ადეკვატური ფინანსური კომპენსაციის გაცემის შესახებ. რეკომენდაცია ასევე შეეხებოდა შემდეგ საკითხებს: 1) ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა ადეკვატური მხარდაჭერა, მათ შორის თავშესაფრით უზრუნველყოფა და ფსიქოლოგიური დახმარება; 2) ცნობიერების ამაღლების კამპანიები; 3) სტამბოლის კონვენციის რატიფიცირება 4) მოსამართლეების, ადვოკატების და პროკურორების სავალდებულო ტრენინგები.

<sup>54</sup> ქალთა მიმართ ძალადობის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენცია/დასკვნითი შენიშვნები/4-5.

<sup>55</sup> პირველი ინსტანციის სასამართლოს (მოსამართლის) მიერ გაიცემა დამცავი ორდერი ადმინისტრაციული პროცედურით, რომელიც გულისხმობს მსხვერპლის დაცვის დროებით ზომებს და რომელიც ძალაშია 6 თვის განმავლობაში; შემაკავებელი ორდერი გაიცემა პოლიციელის მიერ და საჭიროებს სასამართლოს მიერ დამტკიცებას 24 საათის განმავლობაში; იგი ითვალისწინებს ოჯახში ძალადობის მსხვერპლის დაცვის დროებით ზომებს და ძალაშია 1 თვის განმავლობაში (ოჯახში ძალადობის შესახებ კანონის მე-10 და მე-12 მუხლები).

<sup>56</sup> ადამიანის უფლებათა კომიტეტი/დასკვნითი შენიშვნები/ 4.

<sup>57</sup> ქალთა მიმართ ძალადობის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტის 61-ე სხდომა, კომიტეტის შეხვედრის 24/2009.

48. ვიზიტის დროს მსხვერპლისათვის არ მომხდარა კომპენსაციის გადახდა. ამასთან, არ არსებობს ეროვნული მექანიზმი სახელშეკრულებო ორგანოების რეკომენდაციების განსახორციელებლად.

49. საქართველოს საკითხი განიხილეს ასევე უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის შეხვედრაზე 2015 წელს, სადაც მიიღეს მთელი რიგი რეკომენდაციები გენდერული თანასწორობის და ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ.<sup>58</sup>

50. რეგიონულ დონეზე, საქართველო არის ევროპის საბჭოსა და ეუთოს წევრი სახელმწიფო. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის რატიფიცირება საქართველოში მოხდა 1999 წლის 20 მაისს. ქვეყანა ექვემდებარება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს იურისდიქციას. საქართველომ 2014 წლის 19 ივნისს ხელი მოაწერა ევროპის საბჭოს კონვენციას ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის შესახებ (სტამბოლის კონვენცია). სპეციალური მომხსენებელი მიესალმა საქართველოს მთავრობის განცხადებას, რომლის თანახმადაც კონვენციის რატიფიცირება იგეგმებოდა 2016 წლის გაზაფხულზე, თუმცა სინანულით აღნიშნავს, რომ ანგარიშის მომზადების პერიოდში ეს ვალდებულება არ შესრულებულა.

ბ) საკონსტიტუციო, საკანონმდებლო და პოლიტიკის ჩარჩოები

51. 1995 წლის კონსტიტუცია შეიცავს დებულებებს თანასწორობის შესახებ. მათ შორის, მე-14 მუხლი ადგენს კანონის წინაშე თანასწორობას განურჩევლად სქესისა; 36-ე მუხლი აღიარებს თანასწორობას ქორწინებაში, ხოლო 38-ე მუხლი ადგენს თანასწორობას სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში.

52. სპეციალური მომხსენებელი აღნიშნავს, რომ ბოლო ათი წლის განმავლობაში, საქართველომ რამდენიმე მნიშვნელოვანი ცვლილება განახორციელა გენდერული თანასწორობის საკანონმდებლო ჩარჩოს გაუმჯობესების თვალსაზრისით, კერძოდ, ოჯახში ძალადობის კუთხით. მათ შორის იყო 2006 წელს ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ კანონის მიღება; 2010 წელს გენდერული თანასწორობის შესახებ კანონის მიღება; 2014 წელს დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კანონის მიღება, რომელიც მოიცავს სქესის, სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე დისკრიმინაციის აკრძალვას; 2006 წლის კანონი ტრეფიკინგთან ბრძოლის შესახებ და 2014 წლის კანონი იძულებით გადაადგილებულ პირთა - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა შესახებ, ასევე 2012 წლის

<sup>58</sup> ადამიანის უფლებათა კომიტეტი/31/15.

ცვლილებები სისხლის სამართლის კოდექსში, რომელშიც აისახა ოჯახში ძალადობის მასშტაბებისა და კატეგორიების განმსაზღვრელი ახალი დებულებები.

**53.** არსებობს მთავრობის მიერ დამტკიცებული რამდენიმე სტრატეგია და პოლიტიკის დოკუმენტი, როგორცაა ადამიანის უფლებათა სტრატეგიის განხორციელების ეროვნული სამოქმედო გეგმა 2014-2015 წლებისათვის, რომლის კონკრეტულ მიზანს წარმოადგენს გენდერული თანასწორობის მიღწევა ქალთა გაძლიერების და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის გზით, 2013-2015 წლების ოჯახში ძალადობასთან ბრძოლის და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის ღონისძიებების განხორციელების ეროვნული სამოქმედო გეგმა. სპეციალური მომხსენებელი მიესალმება 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმის პროექტზე მუშაობას, რომელიც მოიცავს ოჯახში ძალადობის და სექსუალური ძალადობის საკითხებს.<sup>59</sup> საქართველოს მთავრობამ ასევე დაამტკიცა გენდერული თანასწორობის 2014-2016 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმა და ადამიანის უფლებათა ეროვნული სტრატეგია; ასევე მიიღო ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგი) შესახებ ბოლო ეროვნული სამოქმედო გეგმა 2015-2016 წლებისათვის.

**54.** სპეციალური მომხსენებელი მიესალმება საქართველოს მიერ გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციის №1325 „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე“ შესახებ რეზოლუციის (2000) განხორციელების 2012-2015 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის მიღებას და საქართველოს პრემიერ-მინისტრის ადამიანის უფლებათა დაცვისა და გენდერული თანასწორობის საკითხებში თანაშემწის ხელმძღვანელობით უწყებათაშორისო საკოორდინაციო ჯგუფის ჩამოყალიბებას. იგი მოუთმენლად ელის 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმის მიღებას, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს ყველა პასუხისმგებელი უწყების, განსაკუთრებით ადგილობრივი ორგანოების მონაწილეობას, როგორც ეს მითითებული იყო სახალხო დამცველის რეკომენდაციაში.

<sup>60</sup>

**55.** საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მომზადებული 2014-2016 წლების გენდერული თანასწორობის შესახებ სამოქმედო გეგმის მიღება მიზნად ისახავდა გენდერული თანასწორობის სრულყოფას პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების ყველა ასპექტში. მანდატის მფლობელისათვის ცნობილი გახდა, რომ ქალთა როლი გაიზარდა პოლიციის შემადგენლობაში; პოლიციელთა რიგებში 500 ქალი თანამშრომელი აიყვანეს.

**56.** მანდატის მფლობელისათვის ასევე ცნობილი გახდა, რომ თბილისში, პანკისის, გორის, ქუთაისის, ზუგდიდისა და გალის რაიონებში სექსუალურ და გენდერულ

<sup>59</sup> იხ. <http://georgia.unwomen.org/en/news/stories/2016/01/interagency-council-finalizes-draft-national-action-plan-to-combat-violence-against-women>

<sup>60</sup> იხ. <http://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3566.pdf>

ძალადობაზე რეაგირებისა და მათი პრევენციისათვის შემუშავდა სტანდარტული ოპერაციული პროცედურები მთავრობასა და არასამთავრობო ორგანოებს შორის კოორდინირებული ქმედებების ეფექტურობის მაქსიმალურად გაზრდისათვის, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის ხელმძღვანელობით.<sup>61</sup>

**57.** ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების კანონთან დაკავშირებით, მანდატის მფლობელი მიესალმება 2014 წლის ცვლილებას, რომელიც ეხება ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ, ფინანსურ და სექსუალურ ძალადობას ან იძულებას (მუხლი 3), თუმცა, შეშფოთებულია იმ გარემოებით, რომ წინამდებარე კანონი არ მოიცავს ქალთა მიმართ ძალადობას ოჯახს გარეთ და ასევე ტერმინის „მსხვერპლი“ ვიწრო განსაზღვრებით. კერძოდ, მე-4 მუხლი „მსხვერპლს“ განმარტავს როგორც: (ვ): პირი, რომელმაც განიცადა ოჯახში ძალადობა, ასევე სამართალდამცავი ორგანოების და სასამართლოს მიერ „მსხვერპლის სტატუსის“ განსაზღვრებით და ოჯახში ძალადობის აღკვეთის უწყებათაშორისო საბჭოს ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის განმსაზღვრელი ჯგუფის არსებობით, რომლის მოვალეობას წარმოადგენს ოჯახში ძალადობის შემთხვევების იდენტიფიკაცია და შესაბამისი რეაგირება. ეს ყველაფერი აფერხებს ძალადობის მსხვერპლი ქალების ხელმისაწვდომობას დაცვის მექანიზმზე, შემაკავებელი/დამცავი ორდერების გაცემას და/ან სახელმწიფო თავშესაფარში მოთავსებას - ვინაიდან მსხვერპლ ქალებს, რომლებსაც არ გააჩნიათ ამგვარი სტატუსი, არ აქვთ თავშესაფარში ცხოვრების უფლება.

**58.** მიუხედავად იმისა, რომ სპეციალური მომხსენებელი მიესალმება გენდერული თანასწორობის შესახებ კანონის მიღებას, რომელიც უზრუნველყოფს შევიწროების განმარტებას, იგი შეშფოთებულია იმ ფაქტით, რომ კანონი არ ეხება სექსუალურ შევიწროებას საგანმანათლებლო დაწესებულებებში ან სამუშაო ადგილზე.<sup>62</sup>

**59.** საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 150<sup>1</sup> მუხლით კრიმინალიზებულია იძულებითი ქორწინება, მათ შორის, არარეგისტრირებული ქორწინება. 140-ე მუხლი კრძალავს სქესობრივ ან სხვა სექსუალური ხასიათის კავშირს/ქმედებას 16 წლამდე არასრულწლოვანსა და ზრდასრულ პირს შორის. როგორც მანდატის მფლობელისათვის გახდა ცნობილი, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე მუხლი, რომელიც თავისუფლების უკანანო შეზღუდვას შეეხება, შეიძლება გამოყენებულ იქნას გამტაცებლის წინააღმდეგ. მიუხედავად იმისა, მომხსენებელი მიესალმა იმ დებულების გაუქმებას, რომელიც ქორწინების ნებას რთავდა 16-დან 18 წლამდე ასაკის პირებს მშობლების თანხმობის შემთხვევაში, რისი

<sup>61</sup> იხილეთ სქოლიო 45.

<sup>62</sup> საქართველოს სახალხო დამცველის ყოველწლიური ანგარიში, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა მდგომარეობა საქართველოში, 2014, გვ. 419. ასევე იხილეთ: ქალები, ბიზნესი და კანონი 2016.

ნებართვის გაცემის უფლებაც გამონაკლის შემთხვევებში ახლა მხოლოდ სასამართლოს გააჩნია. იგი შემფოთებულია იმ გარემოებით, რომ ბავშვთა და იძულებითი ქორწინების უამრავი შემთხვევა ოფიციალურად რეგისტრირებული არ არის და ხელისუფლებას არ გააჩნია კონკრეტული მონაცემები არარეგისტრირებული ქორწინებების რაოდენობის შესახებ, რაც ხელს უწყობს მოქმედი კანონმდებლობის არაეფექტურ განხორციელებას.

**60.** სპეციალური მომხსენებელი მიესალმება 2014 წლის ბრძანებას N01-74/6, რომელიც არეგულირებს ორსულობის შეწყვეტას და პირველი დამატების მე-14 პარაგრაფით კრძალავს ორსულობის შეწყვეტას სქესის შერჩევის მიზეზით. მომხსენებელი მიესალმება ამ პოზიტიურ ნაბიჯს, თუმცა აღნიშნავს, რომ არ არსებობს ოფიციალური სტატისტიკა სელექციური აბორტების შესახებ და მიესალმება მთავრობის ნებას, რომ შემუშავდეს ამ საკითხის დასარეგულირებელი ნორმა.

**61.** სპეციალური მომხსენებელი მიესალმება მთავრობის მიერ გადადგმულ ზემოაღნიშნულ საკანონმდებლო ნაბიჯებს, მაგრამ შემფოთებული რჩება ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ არათანმიმდევრული და ფრაგმენტული საკანონმდებლო ბაზის არსებობით, რომელიც ჯერ კიდევ არ არის სრულად შესაბამისობაში ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენციასა და სტამბოლის კონვენციასთან. იგი ასევე ხაზს უსვამს მათ არასათანადო განხორციელებას, რაც, სხვა მიზეზებთან ერთად, გამოწვეულია სამართლებრივი დებულებების შინაარსის შესახებ არასაკმარისი ინფორმირებულობით, აღსრულების არაეფექტური მექანიზმებით, არასაკმარისი ადამიანური და ფინანსური რესურსებით, ფესვგადგმული გენდერული სტერეოტიპებითა და პატრიარქალური დამოკიდებულებებით.

**62.** ვიზიტისას მანდატის მფლობელისათვის ცნობილი გახდა, რომ ეროვნული კანონმდებლობის სტამბოლის კონვენციასთან ჰარმონიზაციის მიზნით, საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ 17 კანონში შეიტანა ცვლილებები.<sup>63</sup> ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილება ეხებოდა საქართველოს კანონს ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ, რომლის თანახმადაც, კანონის მოქმედების სფერო გაფართოვდა და მოიცვა როგორც ქალთა მიმართ ძალადობასთან ბრძოლის, ასევე ოჯახში

<sup>63</sup> გადაიხედა შემდეგი კანონები: სისხლის სამართლის კოდექსი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, კანონი ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, კანონი ადვოკატთა შესახებ, კანონი თვითმმართველობის შესახებ, კანონი იარაღის შესახებ, კანონი იურიდიული დახმარების შესახებ, კანონი პაციენტთა უფლებების შესახებ, პატიმრობის კოდექსი, კანონი პოლიციის შესახებ, კანონი სამედიცინო პრაქტიკის შესახებ, კანონი საჯარო სამსახურის შესახებ, შრომის კოდექსი, კანონი უცხოელთა სამართლებრივი სტატუსის შესახებ, კანონი უმაღლესი განათლების შესახებ, კანონი მეორადი განათლების შესახებ.

ძალადობასთან ბრძოლის ზომები. სამინისტრომ ასევე განაცხადა, რომ ცვლილება დაგეგმილია ტერმინების - „ქალთა მიმართ ძალადობა“, „მსხვერპლი“, „ოჯახის წევრი“ და „დამნაშავე“ - განმარტებებთან დაკავშირებით. სისხლის სამართლის კოდექსში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით, სამინისტრომ განაცხადა, რომ შეიცვლება „გაუპატიურების“ განსაზღვრება, რათა იგი შესაბამისობაში მოვიდეს სტამბოლის კონვენციასთან, და რომ დამამძიმებელი გარემოებების ფარგლები გაფართოვდება და მოიცავს მეუღლის, ყოფილი მეუღლის, პარტნიორების, ან უმწეო მდგომარეობაში მყოფი პირის მიმართ ჩადენილ დანაშაულებს.

**63.** სხვა ცვლილებების მიხედვით, სასამართლო მედიაცია აღარ შეეხება ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის შესახებ დავებს. თუმცა, როგორც მანდატის მფლობელისათვის გახდა ცნობილი, სასამართლო მედიაცია კვლავ გამოიყენება ოჯახში ძალადობის შემთხვევებში. ერთერთი ცვლილების მიხედვით, პოლიციელს ეძლევა შემაკავებელი ორდერის გაცემის უფლება ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით და ამისათვის საჭირო აღარ იქნება სასამართლოს ნებართვა - როგორც ეს ახლა ხდება.

**64.** რაც შეეხება კანონებს სამედიცინო პრაქტიკის, პაციენტის უფლებების, უმაღლესი განათლების, ზოგადი განათლებისა და ადვოკატთა შესახებ, შემოთავაზებული ცვლილებები არ ავალდებულებს კონფიდენციალურობის დაცვას ექიმებს, სამედიცინო პერსონალს, მასწავლებლებსა და იურისტებს, თუ ისინი შესაბამის სამთავრობო უწყებებს შეატყობინებენ ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის შემთხვევების შესახებ. უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი სტატუსის შესახებ კანონში დაგეგმილი შესწორების მიხედვით, უცხო ქვეყნის მოქალაქე ძალადობის მსხვერპლ ქალებს უფლებას აძლევს მიიღონ დროებითი ბინადრობის ნებართვა.

**65.** სპეციალური მომხსენებელი მიესალმება საქართველოს მთავრობის აღიარებას ქალთა მიმართ ძალადობის საკანონმდებლო ჩარჩოში არსებული ხარვეზების შესახებ, და იმედოვნებს, რომ ზემოაღნიშნული ცვლილებების მიღება მოხდება უახლოეს მომავალში.

გ) ინსტიტუციური ჩარჩო: ეროვნული და დამოუკიდებელი ინსტიტუტები

**66.** ინსტიტუციონალურ დონეზე, 2008 წელს დაარსდა ოჯახში ძალადობის აღკვეთის მუდმივმოქმედი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო, ხოლო 2009 წელს პარლამენტში შეიქმნა გენდერული თანასწორობის საბჭო, რომლის ძირითადი ამოცანა არის გენდერულ საკითხებზე მუშაობის კოორდინირება და ქალთა, მშვიდობისა და უსაფრთხოების საკითხებზე ეროვნული სამოქმედო გეგმის განხორციელების მონიტორინგი.

**67.** როგორც მანდატის მფლობელისათვის გახდა ცნობილი, მუნიციპალიტეტებსა და თვითმმართველ ქალაქებში გენდერული თანასწორობის საკითხებში მრჩევლები დანიშნა გენდერული თანასწორობის შესახებ კანონის განხორციელების მხარდასაჭერად, ხოლო პრემიერ-მინისტრის აპარატში 2013 წელს შეიქმნა ადამიანის უფლებებისა და გენდერული თანასწორობის საკითხებში თანაშემწის პოსტი. გენდერული საბჭოები და მრჩევლები ფუნქციონირებენ რამდენიმე მუნიციპალიტეტში. პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭომ ინსტიტუციური მექანიზმების ადგილობრივ დონეზე შექმნის მიზნით გენდერული თანასწორობის კანონში ცვლილებების შეტანის ინიციატივა წამოაყენა.

**68.** სპეციალური მომხსენებელი მიესალმება საქართველოს მთავრობის განცხადებას გენდერული თანასწორობის და ქალთა გაძლიერების დღის წესრიგის გაუმჯობესების შესახებ, თუმცა, ქალთა მიმართ ძალადობის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტის მსგავსად, შემფოთებას გამოხატავს გენდერული თანასწორობის შესახებ კანონის არასათანადო განხორციელების და იმ ფაქტის გამო, რომ გენდერული თანასწორობის საბჭოს არ გააჩნია საკმარისი არსებითი, ტექნიკურ-ადმინისტრაციული მხარდაჭერა და რესურსები.<sup>64</sup> ის ასევე იზიარებს ქალთა მიმართ ძალადობის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტის შემფოთებას გენდერული თანასწორობის და ადამიანის უფლებათა საკითხებში პრემიერ-მინისტრის თანაშემწის პოსტთან და იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ აღმასრულებელ ხელისუფლებაში არ არსებობს გენდერული თანასწორობის პოლიტიკის კოორდინაციის, განხორციელების და ასევე ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის და პრევენციის პოლიტიკისა და ზომების კოორდინაციის სრულყოფილი მექანიზმი.<sup>65</sup>

**69.** 2006 წელს შეიქმნა ადამიანებით ვაჭრობასთან (ტრეფიკინგი) ბრძოლის უწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭო, რომელმაც დაამტკიცა სტრატეგია ტრეფიკინგის მსხვერპლთა რეაბილიტაციისა და საზოგადოებაში რეინტეგრაციის შესახებ. გარდა ამისა, შინაგან საქმეთა სამინისტროს ფარგლებში აჭარის რეგიონში ტრეფიკინგთან ბრძოლის სპეციალური განყოფილება შეიქმნა.

**70.** პარიზის პრინციპების შესაბამისად, სახალხო დამცველის აპარატში, რომელიც არის „A“ სტატუსის მქონე ეროვნული ინსტიტუტი, შეიქმნა გენდერული თანასწორობის დეპარტამენტი. აპარატმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ქალთა მიმართ ძალადობასთან ბრძოლაში და გამოაქვეყნა სპეციალური ანგარიში ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ. ანგარიში მოიცავს არაერთ რეკომენდაციას. როგორც მანდატის მფლობელს აცნობეს, აპარატს არ გააჩნია საკმარისი რესურსები დასახული ამოცანების სრულად შესრულებისათვის.

<sup>64</sup> ქალთა მიმართ ძალადობის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტის დასკვნითი შენიშვნები 4-5.

<sup>65</sup> იქვე.

## V. ქალთა მიმართ დისკრიმინაციის გავლენა ქალთა მიმართ ძალადობაზე

71. ვიზიტის დროს, სპეციალური მომხსენებლისთვის ცნობილი გახდა დისკრიმინაციის და უთანასწორობის ფორმების შესახებ, რომლებიც ხელს უშლის ქალთა უფლებების სრულ რეალიზაციას. 2010 წელს გენდერული თანასწორობის კანონის და 2014 წელს დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კანონის მიღების და სხვა საკანონმდებლო ნაბიჯების მიუხედავად, დე ფაქტო თანასწორობის უზრუნველყოფა კვლავ ძირითად გამოწვევად რჩება. სხვადასხვა მიზეზებს შორის არის ქალთა დაბალი პოლიტიკური მონაწილეობა საზოგადოებრივ და პირად ცხოვრებაში და გავრცელებული გენდერული სტერეოტიპები.

ა) ქალთა დაბალი მონაწილეობა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში

72. სპეციალური მომხსენებელი შემფოთებულია საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებაში ქალთა დაბალი წარმომადგენლობით.<sup>66</sup> მსგავსი შემფოთება მანამდე ქალთა მიმართ ძალადობის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტმაც გამოხატა. ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა ახლანდელ პარლამენტში მხოლოდ 11,3%-ია (17 ქალი).<sup>67</sup> 2016 წლის თებერვალში საქართველომ 147-ე ადგილი დაიკავა მსოფლიო ქვეყნებს შორის ქალების პარლამენტში მონაწილეობის თვალსაზრისით.<sup>68</sup> მუნიციპალურ დონეზე, 2006 წელს, 1750 არჩეული პირიდან მხოლოდ 195 იყო ქალი.<sup>69</sup>

73. საარჩევნო კოდექსში და მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ კანონში განხორციელებული ცვლილებების მიუხედავად, რომლებიც უკავშირდება პოლიტიკური პარტიების ფინანსურ წახალისებას საპარლამენტო არჩევნებისთვის ქალი კანდიდატების დასახელების შემთხვევაში, ქალთა მონაწილეობა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში კვლავ დაბალია. ამ მხრივ, მომხსენებელი ელოდება სავალდებულო კვოტების შესახებ კანონის მიღებას, რომლის მიხედვითაც, ქალების პარლამენტში მონაწილეობის მინიმალური ზღვარი უნდა იყოს 30%. მომხსენებელი შემფოთებულია არასაკმარისი საზოგადოებრივი და პოლიტიკური მზადყოფნით ამგვარი დროებითი სპეციალური ზომების გატარებისათვის ქალთა დაჩქარებული წინსვლის მიზნით.

<sup>66</sup> ქალთა მიმართ ძალადობის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტის დასკვნითი შენიშვნები 4-5.

<sup>67</sup> <http://www.ipu.org/wmn-e/classif.htm>

<sup>68</sup> იქვე.

<sup>69</sup> [http://www.unwomen.org/~media/headquarters/attachments/sections/csw/59/national\\_reviews/georgia\\_review\\_beijing20.ashx?v=1&d=20140917T100730](http://www.unwomen.org/~media/headquarters/attachments/sections/csw/59/national_reviews/georgia_review_beijing20.ashx?v=1&d=20140917T100730)



74. საქართველოს 19 მინისტრიდან მხოლოდ სამია ქალი.<sup>70</sup> მუნიციპალურ დონეზე, თვითმმართველობის ორგანოებში არჩეულ პირთა მხოლოდ 10%-ს წარმოადგენენ ქალები და მათი მონაწილეობა კიდევ უფრო დაბალია ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ მუნიციპალიტეტებში - ახალქალაქის, ნინოწმინდის, გარდაბნის, მარნეულისა და წალკის საკრებულოს 148 დეპუტატიდან მხოლოდ 4 იყო ქალი.<sup>71</sup>

ბ) დისკრიმინაციული მიდგომები და გენდერული სტერეოტიპები

75. მიუხედავად მთავრობის, გაეროს სააგენტოებისა და სამოქალაქო საზოგადოების ძალისხმევისა, განსაკუთრებით ცნობიერების ამაღლების კუთხით, გენდერული სტერეოტიპები და პატრიარქალური დამოკიდებულებები კვლავ ღრმად ფესვგადგმული და გავრცელებულია საზოგადოებაში, რაც არღვევს თანასწორობის იდეას და ხელს უწყობს ქალთა მიმართ ძალადობის შენარჩუნებას. მანდატის მფლობელის თქმით, ჯერ კიდევ ბევრია სამუშაო გენდერული როლების მიმართ საზოგადოების დამოკიდებულებისა და პატრიარქალური შეხედულებების შესაცვლელად, განსაკუთრებით სოფლად.<sup>72</sup>

76. კონსერვატიზმის ზრდამ მედიასა და პოლიტიკურ დებატებში, რაც რიგ შემთხვევაში რელიგიური ორგანიზაციების მიერ იყო ინსპირირებული, ხელი შეუწყო გენდერული სტერეოტიპებისა და პატრიარქალური შეხედულებების გაძლიერებას. მომხსენებლის თქმით, 2014 წელს ჩატარებული კვლევის „მამაკაცები და გენდერული ურთიერთობები საქართველოში“ მიხედვით, რესპონდენტთა 89% მიიჩნევს, რომ ქალების ძირითადი პასუხისმგებლობა არის ოჯახის მოვლა.<sup>73</sup>

77. სპეციალური მომხსენებელი ასევე შეშფოთებულია მედიაში გავრცელებული სექსისტური განცხადებებითა და გენდერული სტერეოტიპებით ქალისა და მამაკაცის გენდერულ როლებთან დაკავშირებით,<sup>74</sup> რამაც შესაძლოა ზიანი მიაყენოს ქალთა შესაძლებლობებს, მათ სოციალურ მდგომარეობას, პროფესიულ კარიერას და მონაწილეობას პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში თანასწორი უფლებებით.

<sup>70</sup>[http://gov.ge/index.php?lang\\_id=ENG&sec\\_id=124&mod\\_id=0&info\\_id=0&new\\_year=0&limit=0&date=&new\\_month=&entrant=2](http://gov.ge/index.php?lang_id=ENG&sec_id=124&mod_id=0&info_id=0&new_year=0&limit=0&date=&new_month=&entrant=2)

<sup>71</sup> იბ.

[www.ohchr.org%2FDocuments%2FIssues%2FEqualParticipation%2Fcontributions%2FGeorgiaNHRI.doc&usg=AFQjCNHVortMZL-2kpi9PibPLVa0esgk-A&bvm=bv.119745492,d.bGg](http://www.ohchr.org%2FDocuments%2FIssues%2FEqualParticipation%2Fcontributions%2FGeorgiaNHRI.doc&usg=AFQjCNHVortMZL-2kpi9PibPLVa0esgk-A&bvm=bv.119745492,d.bGg)

<sup>72</sup> იხილეთ სქოლიო 5.

<sup>73</sup> კაცები და გენდერული ურთიერთობები საქართველოში, სოციალური კვლევის და ანალიზის ინსტიტუტი, 2014, გვ.12.

<sup>74</sup> ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა მდგომარეობა საქართველოში, op.cit.p.412.

## VI. სახელმწიფოს მიერ ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის ვალდებულების შესრულებისას არსებული ხარვეზები და გამოწვევები

### ა) პრევენცია

#### 1. მონაცემები

**78.** იმის გათვალისწინებით, რომ ოჯახში ძალადობის აღმოფხვრისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ კანონის მე-6 მუხლის მიხედვით, უნდა შეიქმნას ოჯახში ძალადობის პრევენციის მექანიზმები, რომლებიც პასუხისმგებელი იქნება შესაბამისი სტატისტიკის წარმოებაზე (პუნქტი გ)), უნდა მოხდეს პრევენციული ზომების გატარება იმ პირების წინააღმდეგ, რომლებიც ოჯახში ძალადობის ჩადენის პოტენციურ ჯგუფებს მიეკუთვნებიან (პუნქტი დ)), უნდა ჩატარდეს ცნობიერების ამაღლების კამპანიები (პუნქტი ე)), და უნდა განხორციელდეს ზომები მსხვერპლთა დაცვისა და მხარდაჭერისათვის (პუნქტი ზ)), მანდატის მფლობელი შეშფოთებას გამოთქვამს ოჯახში ძალადობის და ზოგადად გენდერული ნიშნით ძალადობის შესახებ ერთიანი სტატისტიკური მონაცემების არარსებობის გამო.

**79.** საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ინფორმაციით, ზოგადად, **სტატისტიკური მონაცემები** არასათანადოდ არის გაანალიზებული და მათი მიღება სამთავრობო უწყებებისგან არის რთული.<sup>75</sup> ვიზიტის დროს, საქართველოს მთავრობამ აღიარა, რომ მონაცემების შეგროვება გამოწვევად რჩება.

#### 2. განათლება

**80.** სამართალდამცავების, პროკურორებისა და მოსამართლეებისათვის ტრენინგების ჩატარების კუთხით ხელისუფლების ძალისხმევის მიუხედავად, მანდატის მფლობელი აღნიშნავს, რომ არ არსებობს საკმარისი ინფორმაცია გენდერული ნიშნით ძალადობის აღმოფხვრის საერთაშორისო სტანდარტების, განსაკუთრებით ქალთა მიმართ ძალადობის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენციის, ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ მე-19 ზოგადი რეკომენდაციის და ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის დეკლარაციის შესახებ, და შესაბამისად, არ ხდება მათი გამოყენება ძალადობის შემთხვევების დროს.

**81.** მანდატის მფლობელი მიესალმება სამი უმაღლესი სასწავლებლის მიერ გენდერის შესახებ სწავლების შემოღებას და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილებას გენდერული თანასწორობის სასწავლო პროგრამაში შეტანასთან დაკავშირებით, თუმცა შეშფოთებას გამოთქვამს, რომ

<sup>75</sup> იქვე, გვ. 425.

სკოლებში არ ხდება ქალთა მიმართ ძალადობის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენციის, კომიტეტების ზოგადი რეკომენდაციებისა და გენდერული ძალადობის შესახებ ფაკულტატური ოქმების იურისპრუდენციის სწავლება.

### 3. პროფესიონალთა გადამზადება

82. ოჯახში ძალადობის შესახებ კანონის მე-8 მუხლის თანახმად, სოციალურმა სამსახურებმა უნდა განახორციელონ ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დახმარება და მხარდაჭერა (პარ. ბ) და მონიტორინგი უნდა გაუწიონ დამცავი და შემაკავებელი ორდერების აღსრულებას (პარ. ე). მიუხედავად ხელისუფლების ძალისხმევისა, სპეციალურმა მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მოქმედი 250 სოციალური მუშაკი (საქართველოს მთავრობის მიერ მოწოდებული ინფორმაციით) და მათი შეზღუდული რესურსები არ არის საკმარისი კანონის ეფექტური განხორციელებისათვის. სპეციალური მომხსენებელი ასევე ხაზს უსვამს პედაგოგების, ექიმებისა და სოციალური მუშაკების მნიშვნელოვან როლს ძალადობის შემთხვევების გამოვლენის კუთხით და ამ მიზნით მათ სათანადო გადამზადებაზე ამახვილებს ყურადღებას.

ბ) დაცვა

83. როგორც სპეციალური მომხსენებლისათვის გახდა ცნობილი, საქართველოს მთავრობა ძალადობის მსხვერპლ ქალთა დასახმარებლად უზრუნველყოფს უფასო ცხელ ხაზს, რომელსაც პასუხობენ იურისტები და რომელიც ხელმისაწვდომია 24 საათის განმავლობაში კვირაში 7 დღე.<sup>76</sup> ცხელი ხაზი უზრუნველყოფს შემდეგ მომსახურებას: დახმარება კრიზისული სიტუაციების დროს, იურიდიული კონსულტაცია, ფსიქოლოგიური დახმარება, ინფორმაცია თავშესაფრის ან კრიზისული ცენტრის შესახებ. ცხელი ხაზი ხელმისაწვდომია ქართულ და რუსულ ენებზე.<sup>77</sup> მანდატის მფლობელი აფასებს სახელმწიფოს ძალისხმევას, მაგრამ უკმაყოფილებას გამოხატავს იმასთან დაკავშირებით, რომ ცხელი ხაზი არ არის ხელმისაწვდომი იმ ენებზე, რომლებზეც საუბრობენ ეთნიკური უმცირესობები. რის გამოც ისინი ვერ ახერხებენ ძალადობის შემთხვევების შესახებ შეტყობინებას და აქედან გამომდინარე, დახმარების მიღებას.

84. ძალადობის მსხვერპლ ქალს, რომელსაც ჯერ არ მიუღია „მსხვერპლის სტატუსი“, დახმარების მიღება არასამთავრობო ორგანიზაციების კრიზისულ

<sup>76</sup> „ქალები ძალადობის წინააღმდეგ ევროპაში“, 2014 წლის ანგარიში, გვ. 25, „ადვოკატები ადამიანის უფლებებისათვის“, „ოჯახში ძალადობის შეფასება, კანონები, პოლიტიკა, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის პრაქტიკები, ყოფილი საბჭოთა კავშირი“, 2016, გვ. 79.

<sup>77</sup> საქართველოს სახალხო დამცველის ყოველწლიური ანგარიში, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა მდგომარეობა საქართველოში, 2014, გვ. 433.

ცენტრებში შეუძლია. მანდატის მფლობელი მიესალმება განცხადებას, რომ ძალადობის მსხვერპლ ქალთა დახმარების პირველი სახელმწიფო კრიზისული ცენტრი გაიხსნება სექტემბერში 2016 წელს.

**85.** ვიზიტის დროს, სტატუსის მქონე მსხვერპლთათვის საქართველოში ფუნქციონირებდა სამი სახელმწიფო თავშესაფარი (თბილისში, ქუთაისში, გორში), რომლებსაც მართავდა ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი. მანდატის მფლობელი ხაზს უსვამს, რომ სოფლად მცხოვრებ ქალებს უხდებოდათ საკუთარი სოფლებისა და დასახლებების მიტოვება იმისათვის, რომ შეძლონ თავშესაფრებით სარგებლობა, რადგან თავშესაფრები ძირითადად ქალაქებში მდებარეობს.

**86.** იგი მიესალმა განცხადებას მეოთხე სახელმწიფო თავშესაფრის გახსნის შესახებ კახეთის რეგიონში,<sup>78</sup> მაგრამ ხაზს უსვამს ევროპის საბჭოს სპეციალური სამუშაო ჯგუფის შეფასებას, რომ ქვეყნის მასშტაბით 437 ადგილია საჭირო.<sup>79</sup> დუბრავეკა სიმონოვიჩი განსაკუთრებით აღნიშნავს ამგვარ საჭიროებას სოფლებში. ასევე აღიარებს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიერ გაწეულ სამუშაოს ძალადობის მსხვერპლი ქალებისათვის დაცვის სერვისებით უზრუნველყოფის კუთხით და ხაზს უსვამს მთავრობის მხრიდან თანამშრომლობის და მათთვის ადეკვატური ფინანსური და სხვა სახის დახმარების გამოყოფის მნიშვნელობას.

**87.** როგორც მანდატის მფლობელისათვის გახდა ცნობილი, თავშესაფარში ყოფნის ხანგრძლივობა არის 3 თვე, რომელიც შესაძლოა გაგრძელდეს ბენეფიციარის მდგომარეობის შეფასების მიხედვით. თუმცა, მიუხედავად მთავრობის განცხადებისა, რომ ხელშეკრულება შეიძლება გაგრძელდეს რამდენჯერმე, ეს ხდება მხოლოდ იშვიათ შემთხვევებში.

**88.** მანდატის მფლობელი შემფოთებულია იმ ფაქტით, რომ ჯერჯერობით, ოჯახში ძალადობის შესახებ კანონის მიხედვით, „მსხვერპლის სტატუსი“ ეხება მხოლოდ ტრეფიკინგის მსხვერპლ და ოჯახში ძალადობის მსხვერპლ ქალებს, ხოლო ძალადობის მსხვერპლი სხვა ქალები კანონის დაცვის მიღმა არიან დარჩენილნი და მათ არ შეუძლიათ სახელმწიფო თავშესაფრით სარგებლობა. მანდატის მფლობელს აცნობეს, რომ ზოგიერთ შემთხვევაში, მსხვერპლის სტატუსის მიღებას დიდი დრო სჭირდება, რაც ხელს უშლის მსხვერპლის ეფექტურ დაცვას.

<sup>78</sup> მეოთხე თავშესაფარი გაიხსნა აპრილის დასაწყისში კახეთის რეგიონში: <http://georgia.unwomen.org/en/news/stories/2016/04/more-shelters-for-victims-of-domestic-violence-in-georgia>

<sup>79</sup> [http://www.wave-network.org/sites/default/files/04%20Georgia\\_0.pdf](http://www.wave-network.org/sites/default/files/04%20Georgia_0.pdf)

89. მანდატის მფლობელს ასევე აცნობეს, რომ ხშირ შემთხვევაში, ოჯახში ძალადობის მსხვერპლ ქალებს ძალადობის შემთხვევის შესახებ რამდენჯერმე უწევთ პოლიციაში შეტყობინების გაკეთება იმისათვის, რომ მოხდეს შემაკავებელი ორდერის გაცემა.<sup>80</sup> მაგალითად, 2013 წელს, პოლიცია გამოიძახეს 5447-ზე მეტი ოჯახური კონფლიქტის შემთხვევის დროს, თუმცა მხოლოდ 212 შემაკავებელი ორდერი გამოიცა.<sup>81</sup> გარდა ამისა, დაზარალებულ ქალებს არ მიეწოდებათ საკმარისი ინფორმაცია პოლიციელების მხრიდან, რომლებიც ზოგჯერ არ განმარტავენ თუ რა შემთხვევაშია შესაძლებელი შემაკავებელი ორდერის მოთხოვნა.

90. სპეციალური მომხსენებელი მიესალმება მთავრობის მიერ გამოქვეყნებულ მონაცემებს, რომლის მიხედვითაც, გაიზარდა **შემაკავებელი ორდერების** რაოდენობა ბოლო წლების განმავლობაში. 945 შემაკავებელი ორდერი გაიცა 2014 წელს და 2607 - 2015 წელს. თუმცა მომხსენებელი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ორდერები ძალაშია მაქსიმუმ ერთი თვის განმავლობაში. მომხსენებელი კვლავ შემფოთებულია გაცემული დამცავი ორდერების (რომელიც უზრუნველყოფს 6-თვიან დაცვას) მცირე რაოდენობით (92 – 2014 წელს და 173 - 2015 წელს). ეს დიდი სხვაობა უნდა იქნას შესწავლილი და სათანადოდ შეფასებული (იხილეთ სქოლიო 56).

91. როგორც სპეციალური მომხსენებლისათვის გახდა ცნობილი, პოლიციის თანამშრომლებისათვის ჩატარდა ტრენინგები და ისინი ახლა უფრო პროაქტიულები არიან შემაკავებელი ორდერების გაცემასთან დაკავშირებით. იგი ასევე მიესალმება პოლიციელთა რიგებში ქალების რაოდენობის ზრდას, რადგან მათ შეუძლიათ მნიშვნელოვანი როლი ითამაშონ დაზარალებულთათვის ინფორმაციის მიწოდების თვალსაზრისით. იგი ასევე მიესალმება, რომ, ზოგადად, ოჯახში ძალადობის შემთხვევების შეფასებისას, ორი პატრულიდან ერთი ქალია.<sup>82</sup>

92. მიუხედავად ამისა, მანდატის მფლობელი გამოხატავს სერიოზულ შემფოთებას პოლიციელთა შორის არსებულ სტერეოტიპებთან და იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ სოფლებში ზოგიერთი პოლიციელის მიერ ხდება „ხელწერილების“ გამოცემა, რომლის მეშვეობითაც დამნაშავეები პირობას დებენ, რომ არ ჩაიდენენ ძალადობას მათი პარტნიორების მიმართ, რაც მოკლებულია სამართლებრივ ღირებულებას. მანდატის მფლობელი აღნიშნავს, რომ ასეთი წერილები არ უზრუნველყოფს მსხვერპლთა დაცვას

<sup>80</sup> ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა მდგომარეობა საქართველოში, op.cit.,p.431.

<sup>81</sup> ინფორმაცია მოგვაწოდა კავშირმა „საფარი“.

<sup>82</sup> ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, ადამიანის უფლებათა მდგომარეობა საქართველოში 2014, პარაგრაფი.6, ადვოკატები ადამიანის უფლებებისათვის, ოჯახში ძალადობის შეფასება, კანონები, პოლიტიკა, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის პრაქტიკები, ყოფილი საბჭოთა კავშირი, 2016, გვ.79.

და არ ითვალისწინებს პირის მიერ წარსულში ჩადენილი ძალადობისათვის პასუხისმგებლობას.<sup>83</sup>

**93.** სპეციალური მომხსენებელი შეშფოთებულია, რომ ზოგიერთ შემთხვევას პოლიციის კვლავ მიიჩნევს როგორც „ოჯახურ კონფლიქტს“ და არ ითვალისწინებს საკითხის სიფაქიზეს რისკების შეფასებისას. ხშირ შემთხვევაში, პოლიცია არ უზრუნველყოფს ადეკვატურ დახმარებას და ინფორმაციის მიწოდებას თავშესაფრების ან შემაკავებელი ორდერების შესახებ ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის, ხოლო არაერთ შემთხვევაში გამოძიების შეწყვეტა ხდება იმის გამო, რომ დაზარალებულებს უკან გააქვთ საჩივარი.<sup>84</sup> ოჯახში ძალადობის შემთხვევების პოლიციის მიერ დოკუმენტირების ხარისხი, გავრცელებული ინფორმაციით, არასათანადოა. ასევე, ხარვეზებით ხდება მტკიცებულებათა შეგროვება და პოლიციის ოქმების შედგენა, რამაც შესაძლოა დამნაშავეთა წინააღმდეგ წარმოებული პროცესის შეფერხება გამოიწვიოს.<sup>85</sup> მიუხედავად პოლიციელთა ახალი ვალდებულებისა, დაუყოვნებლივ აცნობონ ოჯახში ძალადობის მსხვერპლს დამნაშავეს ციხიდან გამოსვლის შესახებ, მანდატის მფლობელისათვის ცნობილი გახდა, რომ ამ ვალდებულების შესრულება არაჯეროვნად ხდება.<sup>86</sup> ყველა ამ ელემენტმა შეიძლება მსხვერპლი უფრო დიდი ძალადობის, მათ შორის მკვლელობის რისკის ქვეშ დააყენოს.

#### გ) საქმის აღძვრა

**94.** სპეციალური მომხსენებლისათვის ცნობილი გახდა, რომ არსებობს სირთულეები ოჯახში ძალადობის შემთხვევების დროს საქმის აღძვრასთან დაკავშირებით მაშინ, როცა არ არსებობს დაზარალებულის საჩივარი. გარდა ამისა, ხშირ შემთხვევაში არ ხდება დროული და ეფექტური გამოძიების ჩატარება ოჯახში ძალადობის შემთხვევებთან დაკავშირებით. აღძრული საქმეების რიცხვი, შეტყობინებებთან შედარებით დაბალია.

**95.** მაგალითად, მანდატის მფლობელი აღნიშნავს, რომ ფემიციდის შემთხვევებთან დაკავშირებით შესაძლებელია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის სხვადასხვა მუხლების გამოყენება: მუხლი 108 (მკვლელობა), მუხლი 109 (მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებაში), მუხლი 111 (განზრახ მკვლელობა უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში), მუხლი 117<sup>2</sup> (განზრახ მძიმე ზიანის მიყენება,

<sup>83</sup> ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა მდგომარეობა საქართველოში, *op.cit.*, p.427.

<sup>84</sup> ინფორმაცია მოგვაწოდა კავშირმა „საფარი“.

<sup>85</sup> იქვე.

<sup>86</sup> იხილეთ სქოლიო 5.

რამაც გამოიწვია სიკვდილი) და მუხლი 115 (თვითმკვლელობამდე მიყვანა).<sup>87</sup> საქმეების ანალიზმა აჩვენა, რომ ხარვეზები არსებობს ფემიციდის შემთხვევების გამოვლენის, კლასიფიცირების, შემამსუბუქებელი/დამამძიმებელი გარემოებების განსაზღვრის და დამნაშავეების მიმართ სანქციების დაწესების მხრივ.<sup>88</sup> შესწავლილი თორმეტი შემთხვევიდან არც ერთ შემთხვევაში არ მოხდა გენდერული ნიშნით ჩადენილი დანაშაულის მოტივის დადგენა.<sup>89</sup>

**96.** სპეციალური მომხსენებელი ასევე იხსენებს საქმეს „X. და Y. საქართველოს წინააღმდეგ“ (N ° 24/2009),<sup>90</sup> რომელიც შეიცავს ისეთ გარემოებებს, რაც ასევე გვხვდება ეროვნულ დონეზე მიმდინარე ზოგიერთ საქმეში, კერძოდ, ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევების არასათანადო და არადროული გამოძიება, ქალთა მიმართ ძალადობის, როგორც კერძო საკითხის განხილვა და პროკურატურის უარი დაზარალებულის მეუღლის მიმართ ბრალის წაყენებაზე.

**97.** 2014 წელს, ოჯახში ძალადობის შესახებ კანონის მიხედვით, ოჯახში ძალადობის მსხვერპლს მიენიჭა კომპენსაციის მოთხოვნის უფლება იმ შემთხვევაში, თუ ზიანის ანაზღაურება არ ხდება კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა წყაროებით.<sup>91</sup> მანდატის მფლობელისთვის ცნობილი გახდა, რომ ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის კომპენსაციის მინიჭების პროცედურას და კომპენსაციის რაოდენობის გამოთვლას ხელისუფლება ადგენს.<sup>92</sup>

## VII. დასკვნები და რეკომენდაციები

**98.** სპეციალური მომხსენებელი ხაზს უსვამს, რომ ვიზიტის განმავლობაში მთავრობამ გამოხატა მზადყოფნა ქალთა მიმართ დისკრიმინაციის და ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლასთან, მათ შორის სხვადასხვა კანონებში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით, საკანონმდებლო ბაზის გასაუმჯობესებლად და მისი განხორციელების გასაძლიერებლად. სახელმწიფო ვალდებულებების შესრულებასთან მიმართებაში არსებულ ხარვეზებთან, მათ შორის ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციის, ძალადობის მსხვერპლი ქალების დაცვისა და

<sup>87</sup> საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ ჩატარებული კვლევა ფემიციდის შესახებ.

<sup>88</sup> იქვე.

<sup>89</sup> იქვე.

<sup>90</sup> ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტის 61-ე სხდომა, კომიტეტის მოსაზრებები 24/2009.

<sup>91</sup> იხილეთ სქოლიო 5.

<sup>92</sup> იხილეთ სქოლიო 5.

დახმარების და დამნაშავეთა დასჯის ვალდებულებებთან დაკავშირებით, სპეციალური მომხსენებელი რეკომენდაციებით მიმართავს საქართველოს მთავრობას:

#### 99. კანონმდებლობისა და პოლიტიკის რეფორმირება

(ა) გააუმჯობესოს ქალთა მიმართ ძალადობის პოლიტიკისა და კანონმდებლობის ჩარჩოები იმისათვის, რომ შეიქმნას ერთიანი და ყოვლისმომცველი ეროვნული ჩარჩო ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციისა და ცვლილებების დაჩქარებული წესით მისაღებად, რათა მოხდეს ქალთა მიმართ ძალადობის და გენდერული თანასწორობის ეროვნული კანონმდებლობის სტამბოლის კონვენციასთან და ქალთა მიმართ ძალადობის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენციასთან შესაბამისობაში მოყვანა;

(ბ) დააჩქაროს სტამბოლის კონვენციის რატიფიცირება;

(გ) ჩაატაროს სავალდებულო ტრენინგები სამართალდამცავების და სასამართლო ხელისუფლების წევრებისათვის, მათ შორის, მოსამართლეების და პროკურორებისათვის, ქალთა მიმართ ძალადობის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენციის და მისი ფაკულტატური ოქმის, ზოგადი რეკომენდაციებისა და კომიტეტების იურისპრუდენციის, სტამბოლის კონვენციისა და ეროვნული კანონმდებლობის შესახებ იმ მიზნით, რომ მათ შეძლონ კონვენციის დებულებების პირდაპირი გამოყენება და ეროვნული სამართლებრივი დებულებების ინტერპრეტაცია ქალთა მიმართ ძალადობის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტის იურისპრუდენციის გათვალისწინებით;

(დ) ხელი შეუწყოს სასამართლოს ქალთა მიმართ ძალადობის საერთაშორისო და ეროვნული იურისპრუდენციების კრებულის შემუშავებაში;

(ე) შექმნას სახელშეკრულებო ორგანოების გადაწყვეტილებების, მათ შორის „X. და Y. საქართველოს წინააღმდეგ“ საქმეში მსხვერპლთათვის ადეკვატური ფინანსური კომპენსაციის გამოყოფის შესახებ ასახული რეკომენდაციების განხორციელების ეროვნული მექანიზმი;

(ვ) უზრუნველყოს, რომ კანონმდებლობის გამოყენება მოხდეს ყველა ორგანოს მიერ, რომლებიც მუშაობენ ოჯახის საკითხებზე, მათ შორის უხუცეს მამაკაცთა საბჭოს და უხუცეს ქალთა საბჭოს მიერ, რომლებმაც რელიგიური ნორმების ინტერპრეტირება უნდა მოახდინონ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის და სტანდარტების შესაბამისად;



(ზ) გადახედოს კანონს „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“, რათა გაფართოვდეს მისი მოქმედების არეალი და მოიცვას ქალთა მიმართ ძალადობა;

(თ) გააუქმოს ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის შემზღვეველი სამართლებრივი და ადმინისტრაციული განსაზღვრება, რათა ძალადობის მსხვერპლთათვის უზრუნველყოფილი იყოს ყველა დამცავი ღონისძიების (დამცავი და შემაკავებელი ორდერები) დაუყოვნებლივი ხელმისაწვდომობა და სერვისებით სარგებლობა (თავშესაფრები);

(ი) შეცვალოს გაუპატიურების განმარტება სისხლის სამართლის კოდექსში, რათა იგი შესაბამისობაში მოვიდეს ქალთა მიმართ ძალადობის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენციასა და სტამბოლის კონვენციასთან;

(კ) განიხილოს „ძალადობის მსხვერპლი ქალის სინდრომი“, როგორც შემამსუბუქებელი გარემოება, როდესაც გრძელვადიანი ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალების მიერ ხდება ქმრების მკვლელობა;

(ლ) შეიტანოს ცვლილებები მედიაციასთან დაკავშირებულ დებულებაში, რათა თავიდან იქნას აცილებული სავალდებულო მედიაცია ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევებში;

(მ) შეიტანოს ცვლილებები სამედიცინო პრაქტიკის, პაციენტის უფლებების, უმადლესი განათლების, ზოგადი განათლების და ადვოკატთა შესახებ კანონებში, რათა ექიმებს, სამედიცინო პერსონალს, მასწავლებლებსა და ადვოკატებს მოეხსნათ კონფიდენციალურობის ვალდებულება შესაბამისი სამთავრობო უწყებებისათვის ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის შემთხვევების შეტყობინების შემთხვევაში; ჩატარდეს მათთვის ტრენინგები ამგვარი ძალადობის შემთხვევების გამოვლენისა და პრევენციის საკითხებზე;

(ნ) შეიტანოს ცვლილებები კანონში უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი სტატუსის შესახებ, რაც უცხო ქვეყნის მოქალაქე ძალადობის მსხვერპლ ქალებს მისცემს საშუალებას, მიიღონ დროებითი ბინადრობის ნებართვა;

(ო) გააანალიზოს დამცავი და შემაკავებელი ორდერების ეფექტურობა, ასევე შემაკავებელი ორდერების გაცემის მაღალ რაოდენობასა და დამცავი ორდერების გაცემის დაბალ რაოდენობას შორის არსებული მნიშვნელოვანი განსხვავება;

უზრუნველყოს, რომ შემაკავებელი ორდერი ძალაში შევიდეს პოლიციელის მიერ მისი გაცემისთანავე;

(პ) შეიმუშავოს კანონი ხელოვნური განაყოფიერების და სუროგაციის შესახებ, რათა შეიქმნას ამგვარი პროცედურების სამართლებრივი საფუძველი სუროგატი ქალებისა და ბავშვების უფლებების დასაცავად;

(ჟ) შემოიღოს ქალთა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის და ქალწულობის ტესტის ჩატარების თაობაზე სრულად ინფორმირებული თანხმობის უფლების შესახებ სამართლებრივი რეგულაციები;

(რ) შემოიღოს კანონი საგანმანათლებლო დაწესებულებებში და სამუშაო ადგილას სექსუალური შევიწროების აკრძალვისა და დასჯის შესახებ;

(ს) დაწეროს დროებითი სპეციალური ზომები ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენციის 4.1 მუხლის შესაბამისად ან ქალთა სავალდებულო კვოტები პარლამენტში;

(ტ) შეიმუშავოს და დაამტკიცოს ახალი ეროვნული სამოქმედო გეგმა ოჯახში ძალადობასთან ბრძოლისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების ღონისძიებების განხორციელების შესახებ;

(უ) შეიმუშავოს და დაამტკიცოს ახალი ეროვნული სამოქმედო გეგმა „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე“, ყველა პასუხისმგებელი უწყების, განსაკუთრებით ადგილობრივ თემებში მომუშავე უწყებების მონაწილეობით;

(ფ) გააძლიეროს საზოგადოებაში არსებულ გენდერულ სტერეოტიპებთან ბრძოლა, მათ შორის მედიაში;

(ქ) უზრუნველყოს გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობის და ასაკის შესაბამისი სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების შესახებ განათლების ჩართვა სასწავლო პროგრამაში განათლების ყველა დონეზე;

(ღ) ჩაატაროს ცნობიერების ამაღლების კამპანიები და განახორციელოს პროგრამები, მათ შორის სახალხო დამცველთან და სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობით, რათა მოხდეს ძალადობის პრევენციის მიზნით საზოგადოების და

სპეციალისტების ცნობიერების ამაღლება ქალთა მიმართ ძალადობის სხვადასხვა ფორმების გამოვლენის, მათი გამომწვევი მიზეზებისა და შედეგის შესახებ;

#### 100. გამოძიება, დამხმარე სერვისები და დამცავი ღონისძიებები

(ა) განაგრძოს ქალ პოლიციელთა რაოდენობის გაზრდა; უზრუნველყოს ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე როგორც კაცი, ასევე ქალი პოლიციელების ჩართულობა;

(ბ) სრულად აღმოფხვრას პოლიციის მიერ „ხელწერილის“ გამოყენების პრაქტიკა ოჯახში ძალადობის შემთხვევების დროს;

(გ) უზრუნველყოს, რომ ყველა შესაბამისმა ორგანომ გაითვალისწინოს ლეტალობის რისკის შეფასება, სიტუაციის სერიოზულობა და განმეორებითი ძალადობის რისკი გამოძიების ყველა ეტაპზე, რათა შეამციროს რისკები და უზრუნველყოს მსხვერპლის მხარდაჭერა და უსაფრთხოება;

(დ) გაზარდოს სახელმწიფო თავშესაფრებსა და კრიზისული დახმარების ცენტრებში სერვისების რაოდენობა და ხელმისაწვდომობა, განსაკუთრებით სოფლებში; ასევე გაზარდოს სოციალური მუშაკების რაოდენობა და მათი ფინანსური მხარდაჭერა;

(ე) უზრუნველყოს ტრენინგები სოციალური მუშაკების, პედაგოგებისა და ექიმებისათვის ოჯახში ძალადობის გამოვლენის საკითხებში;

(ვ) უზრუნველყოს ძალადობის მსხვერპლთა მომსახურება ეთნიკური უმცირესობების ენებზე;

(ზ) გაზარდოს სოციალური მუშაკების მხარდაჭერა, რომლებიც მუშაობენ ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დახმარების საკითხებზე;

(თ) განსაზღვროს ოჯახში ძალადობის მსხვერპლისათვის კომპენსაციის რაოდენობა, ისევე როგორც კომპენსაციის მინიჭების პროცედურა;

#### 101. ეროვნული მექანიზმები

(ა) გააძლიეროს გენდერული თანასწორობის საბჭო მისთვის სათანადო ადამიანური, ტექნიკური და ფინანსური რესურსების უზრუნველყოფის და მისი შესაძლებლობების გაძლიერების გზით;

(ბ) შექმნას ყოვლისმომცველი ეროვნული მექანიზმი აღმასრულებელი ხელისუფლების ფარგლებში, რომელიც კოორდინაციას გაუწევს ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის პოლიტიკასა და ღონისძიებებს;

(გ) უზრუნველყოს სახალხო დამცველის აპარატი ადეკვატური ფინანსური რესურსებით, რათა მან შეძლოს თავისი ამოცანების პირნათლად შეასრულება, განსაკუთრებით ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში;

(დ) გაზარდოს ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა და მათი მხარდაჭერა.

## 102. ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ მონაცემთა შეგროვება და პრევენცია

(ა) შეაგროვოს ქალთა მიმართ ძალადობის ყველა ფორმის შესახებ მონაცემები;

(ბ) ჩაატაროს მოსახლეობის გამოკითხვა, რათა შეაფასოს ქალთა მიმართ ძალადობის სხვადასხვა ფორმების გავრცელების ტენდენციები;

(გ) შექმნას „ფემიციდზე ზედამხედველობის მექანიზმი“ ან „გენდერული ნიშნით ჩადენილი ქალთა მკვლელობების ზედამხედველობის მექანიზმი“ და შეაგროვოს და გამოაქვეყნოს ფემიციდის შესახებ მონაცემები ყოველწლიურად; შექმნას ცალკე ორგანო ფემიციდის ყოველი შემთხვევის გაანალიზებისათვის, ან ეს დაავალოს რომელიმე არსებულ ორგანოს, რათა მოხდეს დაცვის ღონისძიების ნებისმიერი წარუმატებლობის იდენტიფიცირება პრევენციული ღონისძიებების გაუმჯობესების მიზნით;

(დ) შეაგროვოს და გაანალიზოს მონაცემები ძალადობის მსხვერპლ ქალთა შორის თვითმკვლელობების შესახებ;

(ე) უზრუნველყოს ბავშვთა ქორწინების ყველა შემთხვევის რეგისტრაცია და შეაგროვოს შესაბამისი მონაცემები სქესისა და ასაკის მიხედვით, მათ შორის იმ შემთხვევებისა, რომელზეც გაცემული იყო/არ იყო სასამართლოს ნებართვა;

(ვ) მკაცრად აღასრულოს სისხლის სამართლის კანონის დებულება იძულებითი ქორწინების აკრძალვის შესახებ და შეაგროვოს მონაცემები აღძრული საქმეების შესახებ;

(ზ) შეიმუშავოს ცნობიერების ამაღლების ერთიანი სტრატეგია მშობლების, მასწავლებლების და სამართალდამცავი ორგანოებისათვის, განსაკუთრებით სოფლებში, იძულებითი ქორწინების და არსებული საკანონმდებლო რეგულაციების შესახებ;

(თ) მიიღოს ზომები სელექციური აბორტების პრევენციისათვის და უზრუნველყოს დაბადების რეგისტრაციის მონაცემების რეგულარული გამოცემა სქესისა და რეგიონების მიხედვით, რათა დადგინდეს ამგვარი აბორტების მიზეზები და

---

გაიზარდოს მოსახლეობის ცნობიერება ამ პრაქტიკის შესაძლო უარყოფითი გრძელვადიანი შედეგების შესახებ.

---